# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | სამშაბათი, 24 აგვისტო 1993 № 7 (54) | ფასი 70 კუპონი


2 უბერებელი ბომბარდირი
ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან

4 ლივერპული და ევერტონი ლიდერობენ
ინგლისის ჩემპიონატი

6 ტორონტოდან მედლებს გვპირდებიან
მსოფლიოს ჩემპიონატის წინ

7 ჯუმბერ ლეჟავა




მოგზაურობა დედამიწის გარშემო

შტუტგარტში ჩატარებული მძლეოსანთა მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატი ამერიკელთა ტრიუმფით დამთავრდა, მაგრამ პირველი გვერდისთვის მაინც ეს ორი ფოტო შევარჩიეთ: ძველებურად გაიბრწყინეს მომხიბვლელმა იამაიკელმა სპრინტერმა მერლინ ოტიმ და უკრაინელმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ. თუ ყოფილი საბჭოელი ათლეტისთვის ეს მსოფლიოს ჩემპიონის მეოთხე ოქროს მედალია, მერლინმა პირად შეჯიბრებაში პირველად მოიპოვა უმაღლესი ტიტული.

4th IAAF
WORLD CHAMPIONSHIPS
in ATHLETICS

STUTTGART
1993




# ამერიკელთა ტრიუმფი შტუტგარტში

შტუტგარტში ამერიკამ მთელს მსოფლიოს კვლავ დაანახა, თუ რისი უნარი შესწევს: შეჯიბრების რვა დღის განმავლობაში გათამაშებული 44 ოქროს მედლიდან ლამის ყოველი მესამე აშშ-ის მძლეოსნებმა მოიგეს. სულ აშშ-ის მონაგარი 13 პირველი ადგილია. მეორე ადგილზე ერთობ მოულოდნელად ჩინეთი გავიდა — ოთხი ჩემპიონი (ოთხივე ქალია). სამ-სამი ოქრო მიითვალეს რუსეთმა (ამანაც ქალთა წყალობით), კენიამ (მორბენლების დამსახურებით) და

იხილეთ მეხუთე გვერდი



# ქინქლაძის მორიგი სასწაული

ალმოსავლეთი. IV ტური

| | |
|---|---|
| დინამო | 6 |
| ერქვანი | 1 |

თბილისი, ეროვნული სტადიონი
23 აგვისტო

დინამო: ჩხეიძე, ნემსაძე, ჩიქოვანი, შელია, ბერაძე, ყაველაშვილი, ქველაძე, ჯამარაული (რევიშვილი, 60), ანჩაბაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე.
ერქვანი: მაკასარაშვილი, შალამბერიძე (იაკობაშვილი, 75), გაგნიძე, გეგეშიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე, მოსიკაშვილი, თაბუკაშვილი (დოლიძე, 73), ჭოლოკავა, კიკნაძე, შეტრეველი

1:0 შ. არველაძე (5)
2:0 ნემსაძე (19)
3:0 ქინქლაძე (71)
4:0 ქინქლაძე (72)
5:0 შ. არველაძე (78)
6:0 შ. არველაძე (84)
6:1 დოლიძე (86)

მსაჯი: ო.გუნთაძე (ლანჩხუთი)

ოთხშაბათის მატჩთან შედარებით დინამოელები შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ. სასტარტო შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ ზოიძე, ლობჟანიძე, ინალიშვილი, არჩილ და რეზო არველაძეები. გუნდები ჯერ ხეირიანად გახურებულნი არ იყვნენ, შოთა არველაძემ ანგარიში რომ გახსნა. ამის შემდეგ ნემსაძემ რამდენიმე გარღვევის შემდეგ ბოლოსდაბოლოს გაიტანა თავისი გოლი. გურჯაანელები ახლადშექმნილი გუნდის კვალობაზე საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ და რამდენჯერმე აიძულეს ჩხეიძე აკრობატული ნახტომები გაეკეთებინა. მეორე ტაიმში მაყურებელმა მთქნარება დაიწყო, იმდენად დაბალი იყო თამაშის ტემპი და ჰოი საოცრებავ, ცხონებული ეროსისა არ იყოს, „მინდორზე არც მეტი, არც ნაკლები, გამოჩნდა... ძაღლი“. ჯიში ვერ გავარკვიეთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძაღლმა სამიოდე წუთი იტრიალა ჩხეიძის საჯარიმოში, თავისებური ფინტებიც გააკეთა და სანამ შელიას მოთმინების ფიალა არ აევსო და არ დაუცაცხანა, ფეხი არ მოუცვლია. ამ შემთხვევამ გამოაფხიზლა დინამოელები და ისინი უმალ ეკვეთნენ „ერქვანის“ კარს. მორიგი საფეხბურთო სასწაულები ჩაიდინა ქინქლაძემ. ზედიზედ ორ წუთში ორი გოლი გაიტანა. განსაკუთრებით ლამაზი სანახავი იყო მისი მეორე გოლი. მინდვრის ცენტრიდან გიორგიმ გაიგდო ბურთი, სირბილში გაასწრო ლაცაბიძეს და ერთი შეხებით თავზე გადაუგდო მაკასარაშვილს. მერე ისევ ორჯერ ზედიზედ დრიბლინგის შემდეგ ერთხელ ფეხზე და ერთხელაც თავზე დაასვა ბურთი შოთა არველაძეს და ჰეთ-ტრიქი შეასრულებინა. მატჩის ბოლოს დინამოელები ისევ მოეშვნენ და დოლიძემ ძლიერი დარტყმით ოდნავ გაუფუჭა გუნება დინამოელთა ქომაგებს.

## ალმოსავლეთი

„მარგვეთი“ — „საპოვნელა“ 3:1, „დილა“ — „ივერია“ 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 17-2 | 9 |
| შევარდენი 1906 | 3 | 2 | 0 | 1 | 7-7 | 6 |
| მალაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-5 | 6 |
| ივერია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 4 |
| კახეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| საპოვნელა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| ერქვანი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| მრეტები | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| მარგვეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |

## დასავლეთი

„მზიური“ — „ოდიში“ 2:1, „სამგურალი“ — „სამტრედია“ 2:1, „ტორპედო“ — „კოლხეთი 1913“ 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 3 | 3 | 0 | 0 | 16-2 | 9 |
| ბათუმი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| კოლხეთი 1913 | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| სამტრედია | 4 | 2 | 1 | 1 | 11-6 | 7 |
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| მზიური | 4 | 1 | 0 | 3 | 3-13 | 3 |
| შუქურა | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| ამირანი | 3 | 0 | 1 | 2 | 6-10 | 1 |
| ოდიში | 3 | 0 | 1 | 2 | 5-9 | 1 |
| ცხუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-13 | 1 |

ტურის დანარჩენი მატჩები გადაიდო საქართველოს ნაკრები გუნდების ესპანური ტურნეს გამო.

თბილისი 18.08 • 1.09 ბელფასტი

დინამო — ლინფილდი

[...]ბილისის „დინამოს" მეტოქემ ბელფასტის „ლინფილდმა" საქართველოდან [...]ის შემდეგ ჩრდილოირლანდიის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩი [...]ში და სტუმრად „კარიკ რეინჯერსს" მოუგო 3:1. ჩემპიონატის უდავო [...]რია „პორტადაუნი", რომელმაც სამივე მატჩი მოიგო ბურთების [...]დებით 13:0.

*

[...]ელის" რედაქციაში ხშირია ტელეფონის ზარი: გულშემატკივრებს [...]ებთ, იქნება თუ არა ტელერეპორტაჟი ბელფასტიდან. როგორც საქართველოს [...]ზიის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციიდან შეგვატყობინეს, [...]პორტაჟი არ შედგება. მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა პირველ სექტემბერს [...]დეს განმეორებითი მატჩის პირდაპირი რადიორეპორტაჟი.

[...] ალსავსე გამოდგა საქართ[...] ნაკრებების ჩასვლა ესპანეთში. [...] ახალგაზრდული ნაკრები (20 წლამდე) მთავარი მწვრთნელის რამაზ შენგელიას ხელმძღვანელობით და ტურისტთა დიდი ჯგუფის თანხლებით 18 აგვისტოს უნდა გაფრენილიყო თბილისიდან, მაგრამ, როგორც თითქმის ყოველთვის, თვითმფრინავი მხოლოდ მეორე დღის 11 საათზე გაფრინდა. დაგეგმილი იყო კიევში დაჯდომა, რომლის დროსაც მგზავრებს უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებიც დაემატებოდა, მაგრამ... როგორც ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა გია

## ფათერაკიან გზაზე

[...]იშხნელმა შეგვატყობინა, ავიაკომპანია „ორბის" თვითმფრინავი კიევს იქით ვეღარ გაფრინდა. საქმის ვითარება ზუსტად ჯერ ვერ შევიტყვეთ, თუმცა ვარაუდობენ: ეს იმითაა გამოწვეული, რომ „ორბს" აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სივრცეში ფრენისათვის გადასახდელი თანხა აქვს დავალიანებული. ასეა თუ ისე, ორი დღე კიევში ყურყუტის შემდეგ რომელი[...]ღაც სხვა ავიაკომპანიის თვითმფრინავით საქართველოს [...] უკრაინის ნაკრებებმა ვალენსია[...] [...] ღწიეს და აეროპორტიდან [...] [...]ლოს მიაშურეს. რაღა სა[...]კვირველია, [...]ომ ჩვენმა ფეხბურთელებმა პირველ[...] მა[...]ი დათმეს, მითუმეტეს, რომ [...] მასპინძელი ქვეყნის ნაკრები იყო — 1:3. საქართველოს ნაკრები მეორე მატჩშიც დამარცხდა, ამჯერად ჩილელებთან 0:1. მესამე მატჩი გუშინ გვიან ღამით შედგა უკრაინასთან.

ესპანეთში, ოღონდ ბილბაოში იმყოფება საქართველოს ჭაბუკთა (18 წლამდე) ნაკრებიც, რომლის მთა[...]რი მწვრთნელია თამაზ კოსტავა. არც ამ [...]ნდის ჩასვლა და მითუმეტეს დახვედრა აღმოჩნდა სათანადო დონეზე. უკვე [...]სკოვ-მადრიდის თვითმფრინავიდან [...]ვლის შემდეგ ესპანელმა მებაჟეებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვენ ოთხ ფეხბურთელს საბუთები წესრიგში [...] ქონდა და პირველ[...] რეისით უკან [...]აბრუნეს. დარჩენ[...]ლი გუნდი თბილისს 30 აგვისტოს და[...]უნდება.

# ოთხი დასავლელი და ერთი აღმოსავლელი

მეხუთე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის პირველი წრის სამმა ტურმა განვლო. დასავლეთ ზონაში კი „რჩეულ-ხუთეულის" 80 პროცენტი თითქმის უკვე ცნობილია: „გურია", „კოლხეთი 1913", „ბათუმი" და „სამტრედია" მეორე ეტაპზე უეჭველად მედლებისთვის მაძიებელ ჯგუფში იქნებიან, ერთი ვაკანტური ადგილისთვის კი, ალბათ, შვიდივე დარჩენილი გუნდი იბრძოლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავი და სასიხარულოა ლანჩხუთელთა აღზევება. კორღალიძის, ფრიდონაშვილის, თევზაძის, დანელიასა და აბუსერიძის დაბრუნებით „ფომენკოს სკოლამ" თავისი გაიტანა. „გურიას" ახალი მწვრთნელი თემურ ჩხაიძე გულმოდგინედ განაგრძობს ფომენკოსა და იმნაძის გზას. ლანჩხუთელთა რიგები უდავოდ გააძლიერეს სოხუმელმა პაპავამ, თბილისელმა გოგოლაძემ, რეხვიაშვილმა და გამცემლიძემ. ამ უკანასკნელს (იგი 1974 წელსაა დაბადებული) დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და გიორგი ქინქლაძესაც კი ადარებენ. ლანჩხუთელებმა სამივე თამაში იოლად მოიგეს. სასტარტო მატჩში ფრიდონაშვილმა და კორღალიძემ „საპენალტო ექსპერიმენტი" გაიმეორეს, ისევე როგორც შარშან „სამტრედიასთან", ფრიდონაშვილმა დაუგორა პენალტის ნიშნულიდან ბურთი კორღალიძეს, რომელმაც ჩვეული სიზუსტით გაიტანა გოლი. როგორც ჩანს, კორღალიძე „გადაეწყო" პენალტის ამგვარ შესრულებაზე და „ოდიშთან" რიგით მესამე პენალტი ვერ გამოიყენა, თუმცა მატჩის მიწურულს მაინც შეასრულა „ჰეთ-თრიქი".

„კოლხეთი 1913" იმით გამოირჩეოდა სხვა გუნდებისგან, რომ აქცენტს ძირითადად ფოთელ ფეხბურთელებზე აკეთებდა და გასაოცარ შედეგებს აღწევდა. წლეულს ფოთელებმა ტრადიცია დაარღვიეს და რამდენიმე „ლეგიონერით" შეავსეს გუნდის რიგები, თანაც ლანჩხუთიდან გიგლა იმნაძე მოიწვიეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე. შედეგი ჯერჯერობით ბრწყინვალეა. როგორც ჩანს, ფოთელებს მომავალში პორტთან ერთად გუნდიც ერთ-ერთი საუკეთესო ექნებათ.

„ბათუმის" რეალური ძალა შარშან ყველამ კარგად იხილა ნახევარფინალში „მარგვეთთან" და ფინალში „დინამოსთან". ბათუმელებს, მართალია, წელს ნიჭიერი ახალგაზრდა ღლონტი გამოაკლდათ („შუქურაში" გადავიდა), მაგრამ ვეტერანებს ბალაძე-მახარაძე-თორღაშვილის ღერძს კარგად უმაგრებენ მხარს ახალგაზრდები. შოთა ჭეიშვილმა პირველი ჩემპიონატის მერე გეზი გუნდის გაახალგაზრდავებაზე აიღო და ეს პროცესი უმტკივნეულოდ გადაატანინა გუნდს.

რაც შეეხება სამტრედიელებს, თბილისში ლეგენდასავით დადის „მრეტებიდან" სიდამონიძის გადაბირების ამბავი და ვგონებ, „სამტრედიის" ხელმძღვანელობას ფული წყალში არ გადაუყრია, მეორე მრეტ ამაშუკელთან ერთად სიდამონიძე საუკეთესოა გუნდში.

როგორც ზემოთ ვთქვი, დარჩენილ მეხუთე ადგილ[...], ალბათ, შვიდი დარჩენილი გუნდი განაცხადებს პრეტენზიას. სოხუმში, ოჩამჩირეში, გალსა და ზუგდიდში ფეხბურთის ფედერაციის მიერ თამაშების ჩატარების ნებართვა უფრო საინტერესოს გახდის ჩემპიონატს. როგორც შევიტყვე, „ცხუმი" ორი დღის უკან გაემგზავრა სოხუმს და ვარჯიშების ჩატარებაც მოასწრო.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ზონას, აქ სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა: მხოლოდ ერთი გუნდია აშკარა ფავორიტი, დანარჩენ ათს კი მეტნაკლები შანსი აქვს დაეუფლოს ოთხი სანუკვარი ადგილიდან ერთ-ერთს. „შევარდენმა" „დინამოსთან" მატჩი „მოითავა" და ალბათ, მალე უფრო მყარად ამოუდგება გათამაშების ცხრილში ტიტულოვან თანაქალაქელს. ყიზილაშვილის წასვლის შემდეგ გუნდის ლიდერობა გოგიჩაიშვილმა ჩაიბარა და არცთუ ურიგოდ: სამ თამაშში გატანილი ოთხი გოლით ბომბარდირთა შორისაა. სასიამოვნო მოულოდნელობაა „მაღაროელის" კარგი სტარტი: კლუბის პრეზიდენტი პაატა დათეშიძე და მთავარი მწვრთნელი თეიმურაზ გრძელიშვილი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ დიდი გაჭირვების მიუხედავად, რომელიც დღეს ჭიათურაში სუფევს, გუნდს არაფერი მოაკლდეს. სერიოზული მუშაობის შედეგიც სახეზეა. გუნდში აშკარად გამოირჩევიან მცველები თამაზაშვილი და ლურსმანაშვილი. არც გურჯაანის „ერქვანია" ხელაღებით აუტსაიდერთა რიგებში ჩასაწერი: მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ფაქტობრივად თავიდან შეიქმნა და ისიც უშუალოდ ჩემპიონატის წინ, „ერქვანი" ალბათ, იტყვის თავის სიტყვას — ჯონი ჯანელიძე ხომ საქართველოში მოქმედი მწვრთნელებიდან ერთ-ერთი ყველაზე პრაქტიკული სპეციალისტია. „დინამოდან" კვარაცხელიას გადასვლით „კახეთი" ერთობ გაძლიერდა თავდასხმაში: კვარაცხელია-ჭვრიტიძის ტანდემი, უეჭველია, ბევრჯერ გამოაღებინებს მეკარეებს ბადიდან ბურთს. დამაფიქრებელია თვითმყოფადი გუნდის — „მრეტების" ბედიც. მასში აღზრდილი ფეხბურთელები ყოველწლიურად სტოვებენ გუნდს და სხვა გუნდებს აძლიერებენ — მარტო ქინქლაძე რად ღირს, მიუხედავად ამისა, ვაჟა ჩხაიძე მუდამ ახერხებს შეინარჩუნოს „ავტორიტეტთა რისხვის" სახელი: იმედია, მალე ტყავაძე დაუბრუნდება გუნდს და „მრეტები" გაახარებენ თავიანთ გულშემატკივრებს.



„შევარდენის" ლიდერი კახი გოგიჩაიშვილი

მამუკა კვარაცხელია


კომერციული ბანკი

Commercial Bank

MB

მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"


# ოთარ კორღალიძე:

# „დინამოს" წარმატება ბევრს ნიშნავს

**გასული სეზონის ბოლო მატჩში ოთარ კორღალიძემ ოთხი გოლი გაიტანა და „რამაზ შენგელიას ასიანთა კლუბის" პირველი წევრი [...]და. ოთარმა ახალი სეზონი განახლებულ „გურიაშიც" შედეგიანად დაიწყო: სამ თამაშში ექვსი გოლი გაიტანა და ახლა ბომბარდირთა სიას ლიდერობს.**

**— [...]თარ, მაინც რამ გამოიწვია გურ[...]ჯაას [...]ატოვება?**

— რამდენიმე მიზეზი [...]ქონდა, მაგრამ ძირითადი მაინც ოჯახური პირობები [...] თანაც „[...]რია"-ს გუნ[...], სად[...] თამ[...] [...]ლაფერს მირ[...]ცემია.

**— ხომ ა[...] [...]გჭირდა ხელახლა და[...] [...]ება, რ[...] [...]რ შეეწყვე განახლე[...] გურიას"?**

— ფაქტობ[...]ივად ისევ ძველი ფეხბურთელები დავბრუნდით, ახ[...] [...] მეორე სეზონია თამ[...] [...] რომ [...]ველაფერი [...] მოხდა. [...]რტო „ჯი[...]მი" [...]ძის მ[...] [...]ელი) და გია [...] [...]დნენ [...] [...]დან ფოთში. [...]ნებული [...]რ, დროზე რომ გაეგოთ ჩვენი და[...] [...]ნება, არც ისინი წავიდოდნენ.

— რამდენადაც მახსოვს, უცხოეთში აპირებდი წასვლას და შესაბამისი საბუთებიც უკვე მზად გქონდა.

— ოჯახურმა პირობებმა მაიძულა, უცხოეთზე უარი მეთქვა. ამ სეზონს „გურიაში" დავამთავრებ.

**— ბომბარდირობას არ იშლი?**

— ახლა ოდნავ წინწაწეული ვთამაშობ და უფრო მიადვილდება გოლების გატანა. ძალიან სახიფათოდ უტევს ჩვენი გამოკვეთილი თავდამსხმელი გოგოლაძე, ნახევარდაცვაც ძველებურად „მუშაობს".

**— გულშემატკივარმა თუ მოიმატა ლანჩხუთის სტადიონზე?**

— შედარებაც არ არის. ადრე თუ ასამდე კაცი ესწრებოდა, ახლა, ათასობით დადის. „გურიას" შედეგიან თამაშთან ერთად გულშემატკივრებზე „დინამოს" ჩემპიონთა თასზე დაშვებამაც იმოქმედა. „დინამოს" ბრწყინვალე თამაშმა ძალიან ოპტიმისტურად განაწყო გულშემატკივრები მთელ საქართველოში. თუ „დინამო" შემდეგ ეტაპზე გავა (და მე მჯერა, რომ ასე იქნება), კიდევ მოიმატებს გულშემატკივართა რიცხვი ტრიბუნაზე.

**— „დინამოს" თამაშს როგორ შეაფასებდი?**

— პირველი ტაიმი კარგად ითამაშეს. მეორე ტაიმში კი შეეტყოთ, რომ ჯერ ახალგაზრდები და გამოუცდელები არიან. ბევრს იღებდნენ თავის თავზე. ის შეცდომა, გოლი რომ მოჰყვა, გამოუცდელობის შედეგი იყო. ისე, როგორც ზემოთ ვთქვი, უეჭველად უნდა გავიდნენ შემდეგ წრეში. საცოდაობა იქნება, ეს გუნდი რომ ტურნირს გამოეთიშოს. კარგა ხანია, ასეთი სიამოვნება არ მიმიღია.

**— ჩვენს ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. მსაჯთა ასოციაციის გამოყოფამ თუ შეცვალა რაიმე მსაჯობაში სასიკეთოდ?**

— მსაჯებს უკეთესობა კი ეტყობათ, მაგრამ ჩემის აზრით, ძალიან ბევრ ჯარიმას იძლევიან თამაშზე. ხომ უყურეთ „დინამო" — „ლინფილდის" მსაჯობას? თურქმა მსაჯმა ფეხბურთელებს საშუალება მისცა ფეხბურთი ეთამაშათ. ზოგჯერ ისეთ რამეებზე არ უსტვენდა, ნაღდი ჯარიმა რომ მეგონა. მაგრამ რომ დავუფიქრდი, მივხვდი მსაჯის სწორ გადაწყვეტილებას. ჩვენმა მსაჯებმაც ამ მხრივ უცხოელებს უნდა მიბაძონ — რაც ჩვენში ჯარიმები იდება, ევროპაში ნახევარს არ მოგცემენ. ფეხბურთი კაცური თამაშია.

**— ბურთის კოლექტიური ართმევა, მჭიდროდ თამაში, ფლანგებიდან შეტევა „გურიის" საფირმო ნიშანი გახდა ლანჩხუთში ფომენკოს ჩამოსვლის დღიდან. ეს გზა გააგრძელა გიგლა იმნაძემ. ახალი მთავარი მწვრთნელი თემურ ჩხაიძეც ამ გზას მისდევს?**

— ამ მხრივ არაფერი შეცვლილა გუნდში. თამაშის ეს სტილი ჩვენ „ძველებს" სისხლში გვაქვს გამჯდარი, „ახლებმაც" ისწავლეს და შედეგიც სახეზეა. ვფიქრობ, დასავლეთ ზონაში ერთპიროვნულად გავიმარჯვებთ.

**— ოთარ, ნუთუ მარტო ძველ მოთამაშეთა დაბრუნებით აიხსნება „გურიას" წარმატება სტარტზე?**

— ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: თუ გუნდს ბაზა არა აქვს, ტყუილია რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი, რა გინდ მაღალი კლასის ფეხბურთელებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. „დინამოს" წარმატებაში დიღმის ბაზას „ლომის წილი" უდევს. ასევეა „გურიაშიც". გრიგოლეთის ბაზაზე ნებისმიერი გუნდი რიგიანად მოემზადება. როდესაც ფეხბურთელი ასეთ ბაზაზე მარტო ფეხბურთზე ფიქრობს. თუ ბაზა არა აქვს გუნდს, ვარჯიში ცალკეა, შხაპი ცალკე, კვება ცალკე და ფეხბურთელი მარტო მგზავრობას უნდება.

**— თქვენთვის კარგია, რომ „დინამო" არაა თქვენს ზონაში. სხვათაშორის, რა აზრის ხარ გუნდების ზონებად დაყოფაზე?**

— დღევანდელი გაჭირვების ფონზე, ალბათ, ასე აჯობებდა, მაგრამ ძალიან ბევრი გუნდია. ჩვენთან უკვე გამოიკვეთა ის გუნდები, ვინც ხუთეულში მოხვდება და აუტსაიდერებიც. ნაკლებგუნდიანი ჩემპიონატი გაცილებით საინტერესო იქნებოდა.

**— შენზე, ეტყობა, ასაკი არ მოქმედებს, კარგა ხანს აპირებ კიდევ თამაშს?**

— ამ სიბერეში მეორე ახალგაზრდობას განვიცდი. არავიზე ნაკლებს არ დავრბივარ, გოლებიც გამაქვს. სანამ ასე იქნება, ფეხბურთს რა დამატოვებინებს...



მამუკა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვეყანა, რომელიც ძალიან აბდაუბდა ამბებით იყო განთქმული. აბდაუბდური იყო ყველაფერი: თვითონ ცხოვრების წესი, ეკონომიკა, ეკოლოგია, ფარმაკოლოგია, რაღა გავაგრძელოთ, ერთი სიტყვით — ყველაფერი. იმ ქვეყანაში ფეხბურთი ძალიან უყვარდათ, თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად თამაშობდნენ კიდეც, მაგრამ იმისთანა აბდაუბდა წესები ჰქონდათ, ისედაც თავგზააბნეული ხალხი სულ დაბნეულა. მაგალითად, აქაოდა, უაბდაუბდო ქვეყნებს მივბაძოთო, შემოიღეს ფეხბურთელის კონტრაქტი, თან, როგორც ყველაფერს, რაღაც ეროვნული დაუმატეს. ეროვნული კი ის სახელების გადარქმევ-გადმორქმევით შეიძლება მთელი მსოფლიო გადაიყვანო ჭკუაზე — ეს რაღა ჯანდაბის გუნდიაო, იკითხავენ. მსოფლიო და მისი საფეხბურთო პრესა ვილას ენაღვლება? სამაგიეროდ, ევროპის ტურნირებზე რომ გავლენ, ვერავინ მიხვდება — რა გუნდია, ანდა რა ქალაქიდან. ესენი კი იმწუთას მიხვდებიან, რომ „მილანი" მილანიდანაა, „ბარსელონა" ბარსელონიდან, „ლილესტრიომი" ლილესტრიომიდან და ა.შ. „იუვენტუსის" მეპატრონე ანიელი როგორ გახდა „ფიატის" პრეზიდენტი, დღესაც მიკვირს. მაგ უბედურს იმდენი ვერ მოუფიქრებია, გუნდს „ფიატი" ან მთლად

# ზღაპარი ბერლუსკონიზე და სენაკელ მეხალიჩეებზე

იყო, რომ კონტრაქტის დარღვევა ჩვეულებრივ ამბად იქცა, ხოლო თუ ნაწყენი გუნდი „ცენტრს" მიაკითხავდა, იქით დატუქსავდნენ და გამოუშვებდნენ — შენ ფეხბურთელი მონა ხომ არ გგონიაო. ანდა ვთქვათ, თამაშების კალენდარი. ამ ქვეყნის დედაქალაქს უმაღლეს (თუ პირველ) ჯგუფში (თუ ლიგაში) რამდენიმე გუნდი ჰყავდა. კარგად, დიდი გულმოდგინებით იფიქრეს და დაასკვნეს: მოდი, ერთ ტურში ყველამ დედაქალაქში ითამაშოს (თანაც ერთ დროს), მეორეში კი არცერთის ფეხი აქ არ ვნახოთო. შეიძლება, ზოგიერთ გულუბრყვილოს ეს უაზროც კი ეგონოს, მაგრამ ის გულუბრყვილო იმდენს ვერ მიმხვდარა, რომ მის ჯიბეზე ფიქრობდნენ — ყოველ ტურში ფეხბურთზე რომ იაროს, ჯამაგირი არ ეყოფაო.

მეორე (თუ პირველ) ჯგუფში 15 გუნდი ყოფილა. ზოგი დღესაც ფიქრობს, რომ თუ 15 გუნდი თამაშობს, თითოეულმა შვიდი მატჩი შინ უნდა ითამაშოს და ამდენივე სტუმრად. არა, ბატონო, ეგეთები უაბდაუბდო ქვეყნებში მოიკითხეთ, იმ სახელმწიფოში კი ზოგი ექვსჯერ თამაშობდა სახლში, ზოგიც — რვაჯერ. ამის მიზეზს ვერავინ მიხვდა, მაგრამ ფეხბურთში ახალი სიტყვა რომაა, ამაზე ორი აზრი არ არის.

რაც ყველაზე კარგია ამ ქვეყანაში, ისაა, რომ „ცენტრს" გამომგონებლობაში არც თავად გუნდები ჩამორჩებიან. სხვა ქვეყნებში ჰგონიათ — გუნდს რომ სახელს დაარქმევ, იმის გადარქმევა როგორღა შეიძლებაო. გასაოცარია ამ მიამიტი ხალხის აზროვნება. იმდენიც ვერ მოიფიქრეს, რომ „კაპოტი" თუ „ბრიზგავიკი" დაარქვას. ან ვთქვათ, ბერლუსკონი. ნაილო ტვინი თავის „მილანით". ხომ აფინანსებს კლუბს ფირმა „Lotto". აიღოს და დაარქვას გუნდს „ლოტოს კოჭები". მაგრამ საიდან მაგდენი ჭკუა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ზოგ გუნდს იმ აბდაუბდეთში გაუგრძელდა ერთი სახელით თამაში — მალე შეიძლება მტრებმაც გაშიფრონ — ვინ ვინ არის! წინადადება შემომაქვს — ყოველ ტურში გუნდებმა ახალი სახელით ითამაშონ. გაუჩნდება კლუბის მეპატრონეს შვილი — მყისვე დაარქვას გუნდს მისი სახელი (უკვე მოხდა ეგეთიც). მერე თავისი, ცოლის, სიდედრის, საბედნიეროდ, ნათესაობას რა გამოლევს. აბა ესაა საქმე: „ალაზანი", „გორდა", „ქუთაისი", „მერცხალი", „ბათუმი" და მსგავსი უმსგავსო სახელები — ენას მოიტეხავ კაცი.

საკვირველია, მაგრამ ამისთანა ჭკვიან ხალხში ერთი... უცნაური რომ არ გამოერიოს, არაფრით იქნება. სენაკის „ეგრისის" გუნდს დაეპატრონა სენაკის ხალიჩების კომბინატი და იმის მაგივრად გუნდისთვის „მეხალიჩე", „მქსოველი" ან პირდაპირ „კომბინატი" ეწოდებინა, თავად კომბინატმა დაირქვა „ეგრისი". გაგაგიჟებს ეს ხალხი!

ასე დასრულდა ეს ზღაპარი, თუმცა, ბოდიში, რა დროს დამთავრებაა. სანამ ეს ზღაპარი იწერებოდა, ბარე სამ გუნდს შეეცვალა სახელი.

ქატო იქა, ფქვილი აქა, აიაქსი იქა, მეტალურგი აქა, მანჩესტერი იქა, ტორპედო აქა!

„სარბიელის" მეზღაპრე

# ფიფა-ს მსაჯებსაც აჯარიმებენ

საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა ასოციაცია პირველ „გამოცდებს" აბარებს. მას ახლა უამრავი ოპონენტი ჰყავს და სფმა-მ ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ გამოყოფა მარტო სახელის შეცვლით არ დამთავრებულა. სფმა-ს პრეზიდიუმის წევრმა ალბერტ ბაჩუკაშვილმა ახალი ცნობები მოგვაწოდა. აბაშელი დისმან გვაზავას დაჯარიმების შესახებ უკვე გაცნობეთ ჩვენს გაზეთში. მსაჯთა შეკრებაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სფმა-მ სასტიკი საყვედურითა და 30-30 ათასი კუპონის ჯარიმით დასაჯა მერაბ მალაღურაძე, ჯემალ წერეთელი, სერგო კვარაცხელია, გრიგოლ მიქაუტაძე და ოთარ გუნთაძე. ფიფა-ს არბიტრი გურამ სეფიაშვილი მსაჯთა შეკრებაზე და პირველი ტურის მატჩებზე გამოუცხადებლობისთვის ასევე სასტიკი საყვედურითა და 50 000 კუპონის ჯარიმის გარდა სხვაგვარადაც დაისჯება: სფმა-ში დაისმება საკითხი უეფა-ს წინაშე მისი ფიფა-ს არბიტრის წოდების მიზანშეწონილობის შესახებ.

არც ფიფა-ს მესამე არბიტრი თამაზ ლაცაბიძე დაინდეს: „ოდიში" — „ცხუმის" მატჩზე თურმე ლაცაბიძემ რატომღაც შინ გაუშვა გვერდითი მსაჯი პაატა დოგრაშვილი (ქუთაისი) — ამისთვის ფიფა-ს არბიტრი კუთვნილ 25 000 კუპონს ვერ მიიღებს, რომელიც მსაჯთა შეკრებაზე გამოუყვეს ყველა არბიტრს. უფრო მკაცრად დაისჯება დოგრაშვილი, გარდა ზემოთხსენებული დანაშაულისა, მას თურმე არაღამაკმაყოფილებელი ნიშანი — 2 მიუღია „მზიური"—„ბათუმის" მატჩის არბიტრობისას. ამიტომ დოგრაშვილიც არ მიიღებს 25 000 კუპონს და მას აეკრძალება I და II ჯგუფებში უახლოესი სამი ტურის მატჩების მომსახურება.

როგორც ჩანს, სფმა-მ სერიოზულად მოჰკიდა ხელი მსაჯობის გაჯანსაღებას.

## საქართველოს თასი

გასულ კვირას გაიმართა საქართველოს ეროვნული თასის მეოთხე გათამაშების პირველი ეტაპის მატჩები:

„გიგანტი" ლაითური — „ანაკო" ოზურგეთი 0:3
გოლები: ქუტიძე (37), კალანდაძე (58), წივწივაძე (88)
„ულუმბო" სალხინო — „ქიზიყი" წნორი 1:1 (4:3 პ)
დვალიშვილი (50); შ. შაიშმელაშვილი (62)
„ანცი" თბილისი — „არმაზი" მცხეთა 7:1
მაღრაძე (17, 30, 43), კერძევაძე (21 პ), დუმბაძე (22, 87), უგრელიძე (70); ფხალაძე (60)
„მეშახტე" ტყიბული — „მერანი 91" თბილისი 5:1
მეფარიძე (15), მეტრეველი (30, 87), ბაბუნიძე (65), კალატოზი (73); გ.ჭანტურია (83)
„მესხეთი" ახალციხე — „ჭაბუკიანი" 4:1 (დ. დ.)
პ. გოგოლაძე (60, 103), დ. გოგოლაძე (94, 96); ქებაძე (20)
„არაგვი" დუშეთი — „ერქვანი-ზოოვეტი" თბილისი 1:0
მიმინოშვილი (65)
„დურუჯი" ყვარელი — „ბაჩო-მგლები" თბილისი 1:0
ლობჟანიძე (67)
„იბერია" თბილისი — „თეთრი არწივი" თბილისი 1:6
ბარათაშვილი (83); ყოჩიაშვილი (7, 70), შუბითიძე (25, 88), კალმახელიძე (51 პ), კორძაძე (55)
„ეგრისი" სენაკი — „ეკობელა" თბილისი 4:1
ჭიჭინაძე (10, 17), თვარაძე (66 პ), ნოდია (85); მარლანია (82)

თასის მორიგი ეტაპი 28 აგვისტოს გაიმართება. „ანცი" შეხვდება „ქინვალს", „ულუმბო" — „არაგვს", „ანაკო-მერცხალი" — „დურუჯს". ამის შემდეგ გათამაშებაში უმაღლესი ჯგუფის გუნდებიც ჩაებმებიან. მეთექვსმეტედფინალში 28 გუნდი იასპარეზებს: ზემოთხსენებულ სამ წყვილში გამარჯვებულს დაემატებიან „მეშახტე", „მესხეთი", „თეთრი არწივი", „ეგრისი" და უმაღლესი ჯგუფის 21 გუნდი. მერვედფინალში 14 გუნდი ითამაშებს და მეოთხედფინალში გასულ შვიდ გუნდს უკვე თბილისის „დინამოც" დაემატება.

## მეორე ჯგუფი

ხვალ იწყება საქართველოს ჩემპიონატი II ჯგუფის ორ ქვეჯგუფში. დასავლეთ ქვეჯგუფში 15 გუნდია გაერთიანებული (თუმცა გუშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ითამაშებდა თუ არა ჩხოროწყუს „სამეგრელო"), აღმოსავლეთში კი 17. სეზონის ბოლოს ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები თბილისში ითამაშებენ პირველ ჯგუფში გადასასვლელ მატჩს. II ჯგუფს დატოვებენ ქვეჯგუფებში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები, მათ ადგილებს კი მესამე ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები დაიკავებენ.

ქვემოთ გთავაზობთ II ჯგუფის აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეჯგუფების პირველი წრის კალენდრებს. თითოეული გუნდის გასწვრივ მოცემულია მხოლოდ საშინაო მატჩის თარიღები.

| | აღმოსავლეთი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანცი თბილისი | ● | 24.10 | | | | 08.11 | | | 04.10 | | 24.08 | | | 03.12 | 12.10 | 21.11 | 21.09 | 07.09 |
| 2 | არაგვი დუშეთი | | ● | | | 08.10 | | 25.09 | | 24.08 | 16.10 | 29.10 | | | 21.09 | 07.09 | | 25.11 | 17.11 |
| 3 | არმაზი მცხეთა | 16.10 | 11.09 | ● | 17.11 | | 25.09 | | 29.10 | | | | 24.08 | 25.11 | 07.09 | | 08.10 | | |
| 4 | თეთრი არწივი თბილისი | 11.09 | 20.11 | | ● | | 04.12 | | 25.09 | 25.10 | | | | | | 09.11 | 01.09 | 11.10 | |
| 5 | ბახტრიონი ახმეტა | 17.11 | | 04.10 | 24.08 | ● | | 12.10 | 25.11 | | | | 21.09 | 07.09 | 25.10 | | 29.10 | | |
| 6 | დურუჯი ყვარელი | | 04.10 | | | 16.10 | ● | | | 07.09 | 29.10 | 17.11 | | | 12.10 | 21.09 | | 24.08 | 25.11 |
| 7 | ეკობელა თბილისი | 29.10 | | 21.09 | 25.11 | | 08.10 | ● | 17.11 | | | | 07.09 | 24.08 | 04.10 | | 11.10 | | |
| 8 | ერქვანი თბილისი | 01.09 | 09.11 | | | | 21.11 | | ● | 12.10 | | | | | | 25.10 | 04.12 | 04.10 | 21.09 |
| 9 | თორი ბორჯომი | | | 04.12 | | 11.09 | | 01.09 | | ● | 25.09 | 08.10 | 21.11 | | | | | 29.10 | 16.10 |
| 10 | მერანი-ბაჩო თბილისი | 25.11 | | 12.10 | 07.09 | 09.11 | | 25.10 | 24.08 | | ● | | 04.10 | 21.09 | 21.11 | | | | |
| 11 | მერანი 91 თბილისი | | | 25.10 | 21.09 | 21.11 | | 09.11 | 07.09 | | 04.12 | ● | 12.10 | 04.10 | | | | | |
| 12 | მესხეთი ახალციხე | 08.10 | 01.09 | | 29.10 | | 11.09 | | 16.10 | | | | ● | 17.11 | | 04.12 | 25.09 | | |
| 13 | ნაფარეული | 25.09 | 04.12 | | 16.10 | | 01.09 | | 08.10 | 09.11 | | | | ● | | 21.11 | 11.09 | | |
| 14 | რკონი კასპი | | | | 08.10 | | | | 11.09 | 17.11 | | 01.09 | 25.11 | 29.10 | ● | | | 16.10 | 25.09 |
| 15 | სიონი ბოლნისი | | | 01.09 | | 25.09 | | 11.09 | | 25.11 | 08.10 | 16.10 | | | 24.08 | ● | | 17.11 | 29.10 |
| 16 | ქართლი გორი | | 12.10 | | | | 25.10 | | | 21.09 | 17.11 | 25.11 | | | 09.11 | 04.10 | ● | 07.09 | 24.08 |
| 17 | შირაქი დედოფლისწყარო | | | 21.11 | | 01.09 | | 04.12 | | | 11.09 | 25.09 | 09.11 | 25.10 | | | | ● | 08.10 |
| 18 | ჭაბუკიანი | | | 09.11 | 04.10 | 04.12 | | 21.11 | | | 01.09 | 11.09 | 25.10 | 12.10 | | | | | ● |

| | დასავლეთი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბახმარო ჩოხატაური | ● | | | | 17.11 | 11.09 | | | | | 29.10 | 08.10 | 01.09 | 16.10 | 25.09 |
| 2 | გურია 2 ლანჩხუთი | 04.10 | ● | | | 07.09 | | 21.09 | | | 08.10 | | | 29.10 | 24.08 | 17.11 |
| 3 | ეგრისი სენაკი | 21.11 | 25.10 | ● | | 04.10 | | 12.10 | | 09.11 | | | | 24.08 | 21.09 | 07.09 |
| 4 | იმერეთი ხონი | 21.09 | 25.09 | 16.10 | ● | | 29.10 | | 07.09 | 08.10 | | 24.08 | 17.11 | | | |
| 5 | კახაბერი ხელვაჩაური | | | | 01.09 | ● | | | 21.11 | | 11.09 | | | 08.10 | 29.10 | 16.10 |
| 6 | კოლხეთი აბაშა | | 09.11 | 01.09 | | 12.10 | ● | 25.10 | | 21.11 | | | | | 04.10 | 21.09 |
| 7 | მერცხალი ოზურგეთი | 07.09 | | | 11.09 | 24.08 | | ● | | | 25.09 | | | 16.10 | 17.11 | 29.10 |
| 8 | მეშახტე ტყიბული | 24.08 | 11.09 | 08.10 | | | 16.10 | 01.09 | ● | 25.09 | | 17.11 | 29.10 | | | |
| 9 | სამეგრელო ჩხოროწყუ | 25.10 | 12.10 | | | 21.09 | | 04.10 | | ● | | | | 17.11 | 07.09 | 24.08 |
| 10 | სულორი ვანი | 12.10 | | 29.10 | 04.10 | | 17.11 | | 21.09 | 16.10 | ● | 07.09 | 24.08 | | | |
| 11 | ულუმბო სალხინო | | 01.09 | 25.09 | | 09.11 | 08.10 | 21.11 | | [illegible].09 | | ● | 16.10 | | | |
| 12 | უქიმერიონი ქუთაისი | | 21.11 | 11.09 | | 25.10 | 25.09 | 09.11 | | 01.09 | | | ● | | 12.10 | |
| 13 | შევარდენი ზუგდიდი | | | | 25.10 | | 07.09 | | 12.10 | | 09.11 | 04.10 | 21.09 | ● | | |
| 14 | ჩიხურა საჩხერე | | | | 21.11 | | | | [illegible].11 | | 01.09 | 25.10 | | 25.09 | ● | 08.10 |
| 15 | ჩხერიმელა ხარაგაული | | | | 09.11 | | | | 25.10 | | 21.11 | 12.10 | 04.10 | 11.09 | | ● |

## მსოფლიოს ჩემპიონატი



# სამხრეთ ამერიკა

A

პარაგვაი — კოლუმბია 1:1
არგენტინა — პერუ 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| კოლუმბია | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 6 |
| პარაგვაი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 4 |
| პერუ | 4 | 0 | 0 | 4 | 2-6 | 0 |

არგენტინამ შინ პირველად ითამაშა და ბატისტუტას და მედინა ბელოს გოლებით გაიმარჯვა. კოლუმბია რენკონის გოლით უგებდა პარაგვაის, მაგრამ მასპინძლები რივეროლამ იხსნა.

ასეა თუ ისე, პირველ ადგილსა და აშშ-ს საგზურს არგენტინას ალბათ ველარავინ შეეცილება. გუნდი დარჩენილ ორივე თამაშს შინ გამართავს. პარაგვაის ორივეჯერ სტუმრად უწევს თამაში, რის გამოც ავსტრალიის სავარაუდო მეტოქე კოლუმბიაა.



B

ბოლივია — ვენესუელა 7:0
ბრაზილია — ეკვადორი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლივია | 5 | 5 | 0 | 0 | 20-2 | 10 |
| ბრაზილია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-4 | 6 |
| ურუგვაი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 4 |
| ეკვადორი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-3 | 4 |
| ვენესუელა | 5 | 0 | 0 | 5 | 2-25 | 0 |

ბოლივიამ საშინაო სერიის დამთავრება უდიდესი გამარჯვებით აღნიშნა. ორ-ორი ბურთი ეჩევერამ და მელგამ შეაგდეს. ბრაზილიამ ბებეტოსა და დუნგას გოლებით ერთობ გაიუმჯობესა მდგომარეობა.

ურუგვაისა და ეკვადორის შანსები არასახარბიელოა. ერთიცა და მეორეც ბევრად ჩამორჩებიან ბოლივიას, ბრაზილია კი სამივეჯერ შინ ითამაშებს.

# ევროპა

## VI ჯგუფი

22 აგვისტო, სტოკჰოლმი

შვედეთი — საფრანგეთი
1:1

0:1 სოზე (77); 1:1 დალინი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-4 | 11 |
| საფრანგეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12-5 | 11 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 0 | 4 | 9-10 | 4 |
| ფინეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 3 |
| ისრაელი | 7 | 0 | 2 | 5 | 5-21 | 2 |

# ინგლისი

მესამე ტურში ხუთი ლიდერიდან ორმა შინ, დაკარგა ქულები: „კოვენტრი სიტი" აგებდა „ვესტ ჰემთან" (გორდონი, 43) და მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლო (ვეგერლე, 60), „მანჩესტერ იუნაიტედი" კი პირიქით, იგებდა (გიგზი), მაგრამ ვერ შეძლო საბოლოოდ მოგება კევინ კიგანის „ნიუკასლ იუნაიტედთან" — 1:1. ამ ტურის შემდეგ სამი გუნდი ლიდერობს ქულათა მაქსიმუმით: „ევერტონმა" შინ მოუგო „შეფილდ იუნაიტედს" 4:2 (ჰეთ-თრიქი გააკეთა ტონი კოტიმ), „იფსვიჩმა" 1:0 დაამარცხა „ჩელსი" (იან მარშალი), ხოლო „ლივერპულმა" საკვირაო მატჩში სტუმრად „სვინდონი" გაანადგურა 5:0 (სტივ მაკმანამანი-2, ნილ რადოკი, რონი ვილანი, მაიკ მარში). კვლავ იან რაიტის გოლის წყალობით მოიგო „არსენალმა" სტუმრად „შეფილდ უენსდეისთან". ეს გუნდები, როგორც გახსოვთ, წინა სეზონის ორივე თასის ფინალებში ხვდებოდნენ ერთმანეთს და მაშინაც „არსენალმა" მოიგო. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ბლეკბერნ როვერსი" — „ოლდჰემ ატლეტიკი" 1:0 (კევინ მორანი, 10), „ლიდს იუნაიტედი" — „ნორვიჩ სიტი" 0:4 (ორი ბურთი რუელ ფოქსმა გაიტანა), „ქუინზ პარკ რეინჯერსი" — „საუთჰემპტონი" 2:1, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „მანჩესტერ სიტი" 1:0 (გოლი თავის კარში ენდი ჰილმა გაიტანა). დრამატულად წარიმართა „უიმბლდონ" — „ასტონ ვილას" მატჩი. სტუმრები ორჯერ იგებდნენ (რიჩარდსონი, მაკგრაფი), მაგრამ ფაშანუმ 86-ე წუთზე წერტილი დაუსვა მატჩს — 2:2. ეს ფაშანუს მესამე გოლია მესამე თამაშში.

კინაღამ ჩაიშალა მატჩი მეორე დივიზიონის გუნდებს „ფულჰემსა" და „კარდიფ სიტის" შორის. მატჩი რიგიანად დაწყებული არ იყო, რომ მოედანზე სტუმართა გულშემატკივრები გადაცვივდნენ ყოველგვარი მიზეზის გარეშე. მათ გამოსარეკად მწვანე საფარზე ცხენოსანი პოლიცია შეიჭრა. ბრძოლამ 25 წუთი გასტანა. ბოლოს ხულიგნებმა ისმინეს „კარდიფის" მწვრთნელის ვედრება და ტრიბუნებზე ასვლა იკადრეს. გაოგნებულმა მასპინძლებმა დათმეს შეხვედრა 1:3.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული (6) | 3 | 3 | 0 | 0 | 10-1 | 9 |
| ევერტონი (13) | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| იფსვიჩი (16) | 3 | 3 | 0 | 0 | 5-0 | 9 |
| მანჩეს. იუნ (1) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| კოვენტრი (15) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| ნორვიჩი (3) | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| ბლეკბერნი (4) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ტოტენჰემი (8) | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| არსენალი (10) | 3 | 2 | 0 | 1 | 2-3 | 6 |
| ასტონ ვილა (2) | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| უიმბლდონი (12) | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| ლიდსი (17) | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| შეფ. იუნ (14) | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| ოლდჰემი (19) | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| ქუინზ პარკი (5) | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| ჩელსი (11) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| ნიუკასლი (დ) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| მანჩ. სიტი (9) | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| ვესტ ჰემი (დ) | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| შეფ. უენ (7) | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |
| საუთჰემპტ. (18) | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |
| სვინდონი (დ) | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

# შოტლანდია

მესამე ტურის მთავარი შეხვედრა „სელტიკსა" და „რეინჯერსს" შორის მშვიდობიანად დამთავრდა 0:0. ასეთი ანგარიში ამ გუნდებს შორის 10 წელია არ ყოფილა. ლიდერ „რეინჯერსს" წამოეწია „მოზერუელი", რომელმაც გასვლაზე „კილმარნოკს" მოუგო 1:0 (მაკგილანი). „აბერდინი" უკვე მე-3 წუთზე დაწინაურდა სტუმრად „დანდისთან", მაგრამ 53-ე წუთზე დოდსმა ფრე გააკეთა — 1:1. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ჰართსი" — „ჰიბერნიანი" 1:0 (ალან ჯონსტონი, 52), „სენტ-ჯონსტონი" — „დანდი იუნაიტედი" 1:1, „რეით როვერსი" — „პარტიკი" 2:2.

# კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატი

შაბათს ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე იაპონიისა და განის შეხვედრით გაიხსნა ჭაბუკთა (17 წლამდე) მსოფლიოს ჩემპიონატი. მასპინძელთა გულშემატკივრები გაწბილებულნი დარჩნენ — მატჩი მოიგო განის ნაკრებმა 1:0. განა წინა ჩემპიონატის გამარჯვებულია და უკვე მე-5 წუთზე წინ გავიდა ჯოზეფ ფამეიეს ზუსტი დარტყმით. ამ ქვეჯგუფში კიდევ ორი გუნდია: იტალია და მექსიკა. დანარჩენი ჯგუფების შემადგენლობა ასეთია: მეორე ჯგუფი — ავსტრალია, ნიგერია, არგენტინა, კანადა; მესამე ჯგუფი — აშშ, ჩეხეთი და სლოვაკეთი, კოლუმბია, ყატარი; მეოთხე ჯგუფი — ჩილე, პოლონეთი, ტუნისი, ჩინეთი. მატჩებს ტოკიოს გარდა კიდევ ხუთი ქალაქი უმასპინძლებს: კობე, კიოტო, ნაგოია, ხიროსიმა და გიფუ. ფინალური მატჩი 4 სექტემბერს ტოკიოში გაიმართება. თამაშების ხანგრძლივობა 80 წუთია.

# იტალია

## იტალიის სუპერთასი

მილანი — ტორინო 1:0

ვაშინგტონი, რობერტ კენედის სტადიონი. 21 აგვისტო
მილანი: როსი, ტასოტი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო, ბობანი, მასარო, სავიჩევიჩი (დონადონი, 59), სიმონე (რადუჩიოუ, 43)
ტორინო: გალი, კოისი (სორდო, 73), იარნი, ფორტუნატო, გრეგუჩი, ფუზი, მუსი, ოსიო (აგილერა, 43), სილენცი, ფრანჩესკოლი, ვენტურინი.

1:0 სიმონე (5)

მსაჯი: პელდერ დიასი (აშშ)

ამ ზაფხულს ამერიკული ფეხბურთის მესვეურებმა საკმაო ფული დახარჯეს, რათა მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები თუ გუნდები ეჩვენებინათ უმაღლესი დონის კალათბურთით, ჰოკეით, ბეისბოლითა თუ ამერიკული ბურთაობით განებივრებული ამერიკელი სპორტის მოყვარულებისთვის. გასულ შაბათს შტატების დედაქალაქს იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ეწვივნენ, რათა იქ თავისი ქვეყნის სუპერთასი გაეთამაშებინათ. „ამერიკის თასის" თამაშებისგან განსხვავებით, ამჯერად იტალიურმა კლუბებმა გააწბილეს ამერიკელები. ასეთი ფეხბურთით ამერიკელს ნაღდად ვერ მოიყვან მატჩზე, ის კი არა და, ამ თამაშის შემყურე მეც გამიჩნდა სურვილი თუნდაც ბეისბოლი მეყურებინა. მხოლოდ მატჩის ბოლო ათიოდე წუთი წააგავდა იმას, რასაც ხეირიანი ფეხბურთი ჰქვია. ამ დროს ტურინელები ცდილობდნენ საქმე პენალტებამდე მიეყვანათ, მაგრამ ამაოდ. მატჩის ერთადერთი ბურთი მეხუთე წუთზევე გავიდა: ბარეზის მეტოქის საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი მხარში მოხვდა სავიჩევიჩს, უკან გადმოვარდა და 24 წლის მარკო სიმონემ გოლი გაიტანა. ერთ წუთში „პარმადან". ახალგადმოსულმა მარკო ოსიომ ვერ შეძლო „მილანის" კარის აღება, არადა ხელს არავინ უშლიდა. ეს ორი მარკო შედარებით აქტიურობდა პირველ ტაიმში (მთავარი მარკო ანუ ვან ბასტენი ნოემბერში დაიწყებს თამაშს). მეორე ნახევარში ბურთი ორჯერ მოხვდა ძელს: პირველად რადუჩიოუს პასის შემდეგ სავიჩევიჩმა ჰქნა ეს საქმე, მეორედ კი აგილერამ საჯარიმოდან. „ტორინოს" თავდამსხმელ კასაგრანდეს წასვლით საკმაოდ დასუსტებულა: ფრანჩესკოლი საერთოდ არ ჩანდა მითუმეტეს ტელეეკრანზე, ხოლო კასაგრანდეს ზომის ანდრეა სილენციმ, მიუხედავად რაღაც ფაფხურისა, ვერ გაიმეორა 1990 წლის შედეგი, როცა სუპერთასზე „იუვენტუსს" ორი გოლი გაუტანა (მაშინ იგი „ნაპოლიში" გამოდიოდა). ერთი თამაშით ძნელია იმსჯელო „მილანზე", მითუმეტეს რომ იმ დღეს არ იყვნენ ვან ბასტენი, პაპენი, ლენტინი, ბრიან ლაუდრუპი, მაგრამ ვვარაუდობ, რომ ამ კვირას დაწყებულ ჩემპიონატს „მილანი" გასულ სეზონივით „ჰარი-ჰარალოზე" ვერ დაამთავრებს.

ზურაბ მეძველია

# მხურვალე ზაფხული

თანამედროვე პროფესიონალი ფეხბურთელი მუდმივი ფიზიკური დატვირთვის ტყვეობაში იმყოფება. იმისათვის, რომ დაძაბული ცხოვრების რიტმს გაუძლოს და მაღალი სპორტული შედეგიც აჩვენოს, მოთამაშეს მთელი წლის მანძილზე სასტიკი რეჟიმის დაცვა უხდება. მაგრამ მთავრდება საფეხბურთო სეზონი და ფეხბურთელი კუთვნილ შვებულებას იღებს. ეს ის პერიოდია, როდესაც სპორტსმენი დროებით ივიწყებს საფეხბურთო ბატალიებს და თავისუფალ დროსაც საკუთარი სურვილისამებრ იყენებს. „არდადეგების" პროცესში ფეხბურთელთა უმრავლესობა საოჯახო პრობლემის მოგვარებით არის დაკავებული. გამონაკლისი არც წლევანდელი ზაფხული აღმოჩნდა.



მარკო ვან ბასტენი და ლისბეტი ჭვრისწერის ცერემონიალზე, შვილებთურთ

ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და იტალიის „პარმას" მეკარე კლაუდიო ტაფარელისთვის, წინა სეზონი არასახარბიელოდ წარიმართა. იანვრის დასაწყისში „პარმას" სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა და ცუდი სპორტული ფორმის გამო ეს პროცესი უსასრულოდ გაუგრძელდა. მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ კლაუდიოს დრო უქმად არ დაუკარგავს. მწირი სათამაშო პრაქტიკით გამოთავისუფლებული ენერგია მეორე ფრონტზე წარმართა და შედეგმაც არ დააყოვნა: მაისის ბოლოს ბრაზილიის ნაკრების მეკარე დაქორწინდა. საზეიმო ცერემონიალი პარმაში შედგა.

21 ივნისს მშობლიურ ქალაქ უტრეხტში ჯვარი დაიწერა მარკო ვან ბასტენმა. იმავე დღეს იქორწინეს ბერხკამპმა და იონკმა, თბილისში კი გაბედნიერდა ამავე ქალაქის „დინამოს" უნიჭიერესი თავდამსხმელი შოთა არველაძე.

ფეხბურთელების მიერ მარტოხელა ცხოვრებასთან განშორების სასიამოვნო ტრადიცია ივლისშიც გაგრძელდა. ნიუ-იორკის ბრუკლინის რაიონში გაიმართა ლიბერიის ნაკრებისა და კლუბ „პარი-სენ ჟერმენის" მოთამაშის, გასულ სეზონში იტალიური გუნდების რისხვის, ჟორჟ ვეას და იამაიკელი ლამაზმანის კლერ დანკანის ჯვრისწერის ცერემონიალი. ახლადშეუღლებულები ერთმანეთს სამუდამოდ მამა გლედსტონ მორისონმა შეაკავშირა. შემდეგ საზეიმო ბანკეტი მოეწყო. მეორე დილით ახალგაზრდა ცოლქმარი პატარძლის სამშობლოში, იამაიკაში გაემგზავრა, სადაც სამი კვირით დაისვენეს.

ივლისის თვე გამორჩეული აღმოჩნდა ჟორჟ ვეას ჩრდილოეთელი კოლეგისათვის, კლუბ „ტოტენჰემ ჰოტსპურისა" და უელსის ნაკრების წევრის პატ ვან დენ ჰოუვისათვის. მისი გულის რჩეული აღმოჩნდა ინგლისელი ტოპმოდელი და მოშლერალი, 22 წლის მენდი სმიტი. შეყვარებულებმა ჯვარი ვესტმინსტერის სააბატოში დაიწერეს. საზეიმო პროცესს აქაც ბევრი სტუმარი დაესწრო, თუმცა ბრუკლინში მოწყობილი ცერემონიალისაგან განსხვავებით, ინგლისურ ქორწილში თეთრი რასის წარმომადგენლები დომინირებდნენ. ცოლ-ქმრად კურთხევის შემდეგ ვახშამი გაიმართა, რომელშიც სხვა სტუმრებთან ერთად პოპულარულმა ფეხბურთელებმა პოლ გესქოინმა და იან რაშმაც მიიღეს მონაწილეობა. მეორე დილით ახლად გაბედნიერებული წყვილი ტროპიკებში, ბაჰამის კუნძულებზე გაემგზავრა, სადაც თაფლობის თვე გაატარეს.

ცნობილ ფრანგ ფეხბურთელს, ჟანპიერ პაპენს ჯერჯერობით საოჯახო საკითხები არ აწუხებს და დამსახურებული შვებულების დრო ატლანტიკის სანაპიროზე მდებარე მშობლიურ ქალაქ ლე საბლ ო ლონში გაატარა. თუ ფრანგულ გაზეთ „ეკიპს" დავუჯერებთ, პაპენი დასვენების დღეებშიც აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ეწეოდა. მან მონაწილეობა მიიღო სარაგბო ტურნირში, რომელიც ზღვის პირას, ქვიშიან სანაპიროზე გაიმართა და თავიც გამოიჩინა, როგორც ყველაზე ტექნიკურმა ოვალური ბურთის ოსტატმა. პაპენის თბილისელ თაყვანისმცემლებს დამატებით ვაცნობებთ, რომ ჟან-პიერი ფეხბურთისა და რაგბის გარდა, ნარდის თამაშითაც არის გატაცებული. როგორც ერთ-ერთი იტალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, საპასუხისმგებლო მატჩების წინ, საათობით ეპაექრება თავის კოლეგა ფრანკო ბარეზის და ამ უკანასკნელს ყოველთვის დიდი სხვაობით ამარცხებს.

გიორგი გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელთა ტრიუმფი შტუტგარტში



(დასაწყისი პირველ გვერდზე)

დიდმა ბრიტანეთმა. მასპინძელი — გერმანია ორ ოქროს დასჯერდა. ორი ოქრო მოუპოვეს თავთავიანთ ქვეყნებს ესპანეთის მოსიარულეებმა და კუბის სიმაღლეზე მხტომელებმა.

კიდევ თორმეტ ქვეყანას — ალჟირს, ეთიოპიას, მოზამბიკს, ნამიბიას, იამაიკას, იაპონიას, ტაჯიკეთს, ფინეთს, ნორვეგიას, ჩეხეთს, შვეიცარიასა და უკრაინას თითო ოქრო ერგო.

შემდეგი, მეხუთე მსოფლიო პირველობა ორი წლის შემდეგ, 1995 წელს



ნურადინ მორსელი

შვედეთში, გეტებორგში გაიმართება.

ოთხშაბათს შეჯიბრებაზე დასვენების დღე იყო. ხუთშაბათს ასპარეზობა განახლდა და ხუთი ტიტულიც გათამაშდა.

თავი ბოლო დროს ხელმოცარულმა ათლეტებმა ისახელეს. უკრაინელი სერგეი ბუბკა, ვისაც მსოფლიო რეკორდი 34-ჯერ (!) დაუმყარებია, ბარსელონაში ხომ უსახელოდ დამარცხდა და ვერც წინასწარ ხტომებში გამოიჩინა თავი. ფინალში გასასვლელად 575 სანტიმეტრის გადალახვა იყო საჭირო, ბუბკა კი ოდენ 565-ზე გადახტა. ნორმატივს სამადსამმა მხტომელმა გადააჭარბა. მერე და მერე ბუბკა და მისი დთს-ელი მეგობრები მაინც მოხვდნენ ფინალში დარჩენილ ცხრა ადგილზე.

დიახ, მეჭოკეთა შეჯიბრება ჭეშმარიტად ყოფილი საბჭოეთის ღია პირველობად გადაიქცა. ფინალში ბუბკამ ყველა გააპამპულა და სკეპტიკოსებს თავზე ცივი წყალი გადაასხა. უკრაინელი ისე გახდა ჩემპიონი, რომ სულ სამჯერ გადახტა: პირველივე ცდებით აიღო 570, 590 და ბოლოს 600. მეორე ადგილზე „ყაზახი" ეგოროვი დარჩა — 590 სმ. ისევე როგორ ბარსელონაში, რუსებმა — ტრანდენკოვმა და ტარასოვმა ახლაც ერთნაირი და იგივე შედეგი — 580 სმ აჩვენეს. დამატებითი კრიტერიუმებით (ცდების რაოდენობით) შარშან პირველობა ტარასოვს დარჩა, წელს კი ორივემ მესამე ადგილი გაიზიარა.

ბუბკა ჩემპიონობას აღარ დასჯერდა და თავისსავე მსოფლიო რეკორდსაც შეუტია — 614 სანტიმეტრზე გაადებინა თამასა, მაგრამ მარცხი შეემთხვა — ნახტომის სულ ბოლო მომენტში თამასას ნიფხავი გამოსდო და ჩამოაგდო. ასე იყო თუ ისე, ბუბკამ დაუჯერებელი რამ შეძლო — ოთხივე მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ამ მაჩვენებლით მას ბადალი არა ჰყავს!

ხუთშაბათსვე, როგორც იქნა, დამყარდა პირველი მსოფლიო რეკორდიც. საერთოდ, ისიც სათქმელია, რომ მნიშვნელოვან ტურნირებში რეკორდები იშვიათად მყარდება, ვინაიდან მონაწილეები გამარჯვებაზე უფრო ფიქრობენ. რაც შეეხება რეკორდებს, მათ უფრო მყუდრო ვითარებაში აუმჯობესებენ — ისეთ შეჯიბრებებზე, სადაც ბევრი ფული რიგდება.

თუ სპორტულ სიარულს არ ჩავაგდებთ სათვალავში, ქალთა მძლეოსნობა ბოლო წლები ფაქტიურად ერთ ადგილს ტკეპნიდა: ბოლო მსოფლიო რეკორდი შვიდჭიდელ ჯეკი ჯოინერ-კერსის დაემყარებინა 1988 წელს. ამჯერად დაემხო 1986 წლისეული რეკორდი, რომელიც ტაშკენტში სსრკ ხალხთა სპარტაკიადაზე მარინა სტეპანოვამ დაამყარა 400 მეტრზე თარჯრბენში.

შტუტგარტში ამ სახეობაში ბრიტანელმა სალი განელმა გაიმარჯვა — 52,74, რაც 0,2 წამით სჯობს სტეპანოვას შედეგს. განელს ერთობ შეეწია ამერიკელი სანდრა ფარმერ-პატრიკი, რომელმაც ფიცხელი შეჯიბრი გაუმართა ბრიტანელს და ზედ ფინიშთან დამარცხდა. მესამე წინასწარ გარბენში უსწრაფესი რუსი პონომარიოვა იყო. ბელორუსი მსოფლიო ჩემპიონი ლედოვსკაია ფინალში ვერ მოხვდა.

ქალების კვალად კაცებმა ირბინეს ერთი წრე თარჯებითურთ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა კევინ იანგმა (აშშ) კი სძლია მსოფლიო ჩემპიონ სამეულ მატეტეს (ზამბია), მაგრამ შედეგმა — 47,18 ჩემპიონატების რეკორდადღა ივარგა. მესამე ადგილი იამაიკელმა ვინფორდ გრეემმა დაიჭირა.

ჩემპიონატზე დამსწრე საზოგადოება და თვით მონაწილეებიც კი ძალიან გაახარა 200 მეტრზე ქალთა რბენის შედეგმა. ყველას პირზე ეკერა სამი დღის ადრე იამაიკელი კრეოლი ქალის, „კარიბეთის დედოფლის" მერლინ ოტის მარცხის ამბავი. ამჯერად ოტიმ 21,98 წამში გაირბინა დისტანცია და 0,02-ით აჯობა ამერიკელ გვენ ტორენსს. მესამე ადგილზე რუსი პრივალოვა გავიდა. აღსანიშნავია, რომ ოტიმ ბოლოსდაბოლოს მოიგო მნიშვნელოვანი შეჯიბრება.

ეშველათ რუსებსაც: მათაც პირველი ოქრო დაითრიეს. ბადროს მტყორცნელმა, 30 წლის ელენა გუროვამ მეორე ცდის გამოისობით (67,40 მ) აჯობა რუმინეთიდან ავსტრალიაში გადახვეწილ დანიელა კოსტიანს და ბარსელონის ოლიმპიადის გამარჯვებულს, კუბელ მარიცა მარტენს.

ამავე დღესვე ასპარეზობა დაიწყეს ვაჟმა ათჭიდელებმაც. თუ ბარსელონაში შეჯიბრებას ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი დან ობრაიენი დააკლდა, რომელიც თავის ქვეყანაში შესარჩევ შეჯიბრებაში დამარცხდა, ამჯერად მონაწილეთა შორის ბოლო ოლიმპიადაზე გამარჯვებული, ჩეხი რობერტ ჟმელიკი არ ჩანდა — მას თურმე ტერფი უტკენია.



სალი განელი

ო'ბრაიენს პირველ დღეს სიმაღლეზე ხტომაში მოეცარა ხელი და 4 ქულითღა აჯობა გერმანელ პაულ მაიერს. მეორე დღეს, პარასკევს, მაიერი მესამე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მას გადაუსწრო „ბელორუსმა" ედუარდ ჰიამალაინენმა, რომელიც რვა სახეობის შემდეგ ლამის იყო წამოეწია ლიდერს. მერე ო'ბრაიენმა მარჯვედ ისროლა შუბი და შეჯიბრების ფინიშზე 1.500 მეტრი უკვე დარბაისლურად გაირბინა. გამარჯვებულის შედეგი —



დან ო'ბრაიენი

8817 ქულა 74 ქულით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს.

პარასკევს მედლების კიდევ ოთხი კომპლექტი დარიგდა. ამავე დღეს გაიმართა ხეიბართა შეჯიბრებაც. ინვალიდის ეტლებით რბოლაში ქალთაგან იმარჯვა ლუის სოვიჯმა (800 მეტრზე), ვაჟთაგან კი — ფრანც ნიდლისბახერმა (1500 მეტრზე). დამყარდა მეორე მსოფლიო რეკორდიც, რაშიც, როგორც გაირკვა, წინა დღის გმირსაც მიუძღვის წვლილი.

ბრიტანელი სალი განელი თურმე ზედ ფინალის წინ გასახდელში სწვევია



მაიკ პაუელი

თანამემამულე კოლინ ჯექსონს და შეუგულიანებია, აბა, შენ იცი, ურწმუნო თომების ჯინაზე დაამტკიცე, რომ მარტო რიგითს შეჯიბრებს კი არ იგებ, არამედ ჩემპიონატებსაცო. ჯექსონსაც ფრთები გამოესხა და ისე გაიქცა, რომ 12,91 წამის ჩვენებით 0,01-ით გააუმჯობესა როჯერ კინგდომის ოთხიწლისწინანდელი მსოფლიო რეკორდი. ფინიშის შემდეგ გადარეულმა ჯექსონმა უელსის ურჩხულოვანი დროშა გაშალა, რითაც მთელს სტადიონს ამცნო, ინგლისელი არ გეგონოთ, უელსელი ვარო!

ჯექსონზე ნაკლებ არც ამერიკელ გეილ დივერსს გამოუჩენია თავი. მან იშვიათი უნივერსალიზმი გამოამჟღავნა: 100 მეტრზე რბენაში ხომ აჯობა ოტის; ახლა კი 100 მეტრზე თარჯრბენშიც სეზონის საუკეთესო შედეგით — 12,46 უკან მოიტოვა რუსი აზიაბიევა და თანამემამულე ტოლბერტი. დივერსამდე იგივე მხოლოდ ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფანი ბლანკერს-კუნმა შესძლო 1948 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე.

სიგრძეზე ხტომა კვლავ მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა მაიკ პაუელმა მოიგო, ოღონდ მისთვის მოკრძალებული შედეგით — 859 სმ. არადა, ორი წლის წინ ტოკიოში პაუელმა თვით კარლ ლუისი დაამარცხა, თან ისე, რომ იმავე შეჯიბრებაში დამყარებული მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

კარლ ლუისი ამ დღესაც დამარცხდა და პირველად მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში უოქროსმედლოდ დარჩა. მართალია, წელს ერთადერთხელ მას გაერბინა 200 მეტრი 20 წამზე ნაკლებ დროში, მაგრამ შტუტგარტის სარბიელზე ლუისს ნამიბიელმა ფრანკი ფრედრიქსმაც (19,85) აჯობა და ბრიტანელმა ჯონ რიჯისმაც (19,94). ფრედრიქსმა, ოტისა არ იყოს, პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა. არადა, ორი წლის წინ თვით ნამიბიის მანდელა — ბატონი სემ ნუიომა ეხვეწებოდა, პატივი დაგვდე და ნაკრებში იასპარეზე, გუნდში რასობრივი ბალანსი რომ დავიცვათო.

შაბათს ასპარეზობა 50 კილომეტრზე მოსიარულეებმა გახსნეს. შეჯიბრებამ ამჯერად უდავიდარაბოდ ჩაიარა. შეხუთულ ამინდში, თაკარა მზეში, ფინიშამდე ათი კილომეტრით ადრე ესპანელმა ხესუს ანხელ გარსიამ თავი გადადო, ლიანგს გამოეყო და 40 მეტრით გაიმარჯვა — 3:41.41. ფინიშთან მეორე ფინელი კინუნენი მივიდა, მესამე — რუსი სპიცინი. ამრიგად, ესპანელმა ვაჟებმა სიარულში დუბლი განახორციელეს.

ნაცნობი სცენარით განვითარდა მოვლენები 10 000 მეტრზე ქალთა რბენაში და ვაჟთა სტიპლ-ჩეისში. პირველ მათგანში ამერიკელმა ლინ ჯენინგზმა და სამხრეთაფრიკელმა ელანა მაიერმა ვერაფერი დააკლეს ჩინელ მორბენალს, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში კი კენიის სამეულმა: მეთიუ ბირირმა, პატრიკ სანგმა და მოუზეს კიპტანუიმ, რა თქმა უნდა, თავისიანს გაამარჯვებინა. „ოქრო" მსოფლიოს რეკორდსმენსა და ჩემპიონს კიპტანუის ერგო.

ქალებმა კიდევ ორ სახეობაში იასპარეზეს. ქალთა სამხტომი ჩემპიონატის პროგრამაში პირველად შეიტანეს. რა გასაკვირია, რომ მსოფლიო რეკორდიც დამყარადა: რუსი ანა ბირიუკოვა 15,09 მეტრზე გადახტა.

რაც შეეხება სიმაღლეზე ხტომას, ტრავმის გამო ვერ იასპარეზა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, გერმანელმა ჰაიკე ჰენკელმა, ბულგარელი მსოფლიო რეკორდსმენი სტეფკა კოსტადინოვა კი ფინალში ვერ გავიდა. მათ არყოფნაში კუბელმა ქალებმა დუბლი გაახერხეს: პირველი ჯოანეტ კინტერო იყო — 199 სმ, მეორე — სილვია კოსტა (197).

მსოფლიო რეკორდი ამ დღესაც დამყარდა, ოღონდ არ გაუმჯობესებულა. 4 X 100მ ესტაფეტაში აშშ-ის გუნდმა — დრამონდმა, კეისონმა, მიტჩელმა და ბარელმა წრე 37,40 წამში გაირბინეს, რაც შარშანდელი მსოფლიო რეკორდის გამეორება იყო.

კვირას, ფინალში, ამერიკელთა ოთხეულს მარცხი შეემთხვა. არა, ჩემპიონები, რა თქმა უნდა, ამერიკელები გახდნენ, მაგრამ კეისონმა მიტჩელს ამანათი უხეიროდ გადასცა, რის გამოც მსოფლიო რეკორდი ვერ გაუმჯობესდა; ეს კი ამერიკელთათვის მარცხის ტოლფასია.



გეილ დივერსი

ისე, რაც ვერ შეძლო ამერიკელ სპრინტერთა საესტაფეტო გუნდმა, მოახერხა 4 X 400 მ ამანათრბენში მოასპარეზემ. ანდრე ვალმონმა, ქვინზი ვოტსმა, ბუჩ რენოლდსმა და მაიკლ ჯონსონმა თითო წრის გარბენას ჯამში 2.54,29 მოანდომეს და 1,5 წამით გააუმჯობესეს ასევე ბარსელონაში დამყარებული რეკორდი. მეორე ადგილზე კენია გავიდა, მესამეზე — გერმანია.

რუსმა ქალებმა იმარჯვეს 4X400 მ ამანათრბენში, 4X100 მ ესტაფეტაში კი ამერიკელმა დივერსმა და რუსმა პრივალოვამ ფინიშის ხაზი ერთდროულად გადაკვეთეს, მაგრამ გამარჯვება აშშ-ის გუნდს მიენიჭა.

სულ, ბოლო დღეს ცხრა ჩემპიონი გამოვლინდა. ნორვეგიელმა შუბოსანმა ქალმა ტრინა ჰატესშტატმა პირველივე ტყორცნით დათრგუნა მეტოქეები — 69,18 მ. სიმაღლეზე ხტომაში, ჭოკით ხტომის მსგავსად, მსოფლიო



კოლინ ჯექსონი

რეკორდსმენმა გაიმარჯვა. კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა 240 სმ-ის ალებით პირველი ადგილი დაიბევა და ახალ რეკორდს — 246 სმ-საც შებედა, მაგრამ ორივე ცდა ჩააფლავა.

მცირე დრამა დატრიალდა 10 კილომეტრზე კაცთა რბენაში. აქაც კენია — ეთიოპიის მატჩი გაიმართა. კენიელებმა: რიჩარდ ჩელიმომ, მოზეს ტანუიმ და ვილიამ სიგაიმ მე-11 წრეზე ეთიოპი ფიტა ბაისა ჩამოიცილეს. ბოლოსწინა, 24-ე წრეზე ტანუი წინ გაიჭრა, ჩელიმო და სიგაი ჩამორჩნენ, მაგრამ ეთიოპი ხაილე გაბრესილასე გამოეკიდა ლტოლვილს და თუმცა თითქმის სულ ბოლომდე საგრძნობლად ჩამორჩებოდა, საბოლოოდ ერთი მეტრით მაინც გადაასწრო კენიელს, რომელსაც ამ გაწამაწიაში ცალი წაღა გასძვრომოდა.

1500 მეტრზე ჩინელმა მორბენალმა ქალმა 30 მეტრი მოუგო ირლანდიელ სონია ო'სალივანს და ბარსელონაში გამარჯვებულ ალჟირელ ჰასიბა ბულმერქას.

სამაგიეროდ, ალჟირელმა მოიგო ვაჟთა გარბენი 1500 მეტრზე. ნურადინ მორსელიმ, რომელიც ძლივსძლივობით დაიყოლიეს საასპარეზოდ, ფინიშამდე 300 მეტრი რომ რჩებოდა, ისე გაქუსლა, რომ ვერავინ დაეწია. მორსელის შედეგია 3.34,24. ბოლო ორი წრის გარბენას მან 1.50 მოანდომა, პირველ წრეზე კი ერთობ ზოზინით გაისარჯა — 1.01. მეორე ადგილი ბარსელონაში გამარჯვებულმა ესპანელმა ფერმინ კაჩომ დაიკავა, მესამე — 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონმა აბდი ბილემ (სომალი), მეოთხე — მუჰამედ სულეიმანმა (ყატარი), მეხუთე — მუჰამედ ტაკიმ (მაროკო), მეექვსე კი — ქერა ბრიტანელმა მეთიუ იეიტსმა.

რეზო ნემსაძე



# ალბათ მედლებით დაბრუნდებიან

ხვალ, კანადის ქალაქ ტორონტოში დაიწყება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაზე ქართველები ხუთი ფალავნით წარსდგებიან. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის (ფედერაცია აერთიანებს თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას) პრეზიდენტის, **გურამ გედეხაურის** თქმით, ფინანსური სიძნელეების გამო გუნდის სრული შემადგენლობის ანუ ათი სპორტსმენის წაყვანა არ მოხერხდა. პრეზიდენტი თვლის, რომ ეს ორმხრივ საწყენია. ჯერ ერთი ხუთი ფალავანი მსოფლიოს პირველობის ატმოსფეროს და გამოცდილებას გამოაკლდება, მეორეც გუნდურ ჩათვლაში, თუნდაც მე-7 ან მე-8 ადგილები ქულაა, რომელიც დაგვაკლდება. მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ: **დავით ბელთაძე** (62 კგ), **ზაზა ზოზიროვი** (68 კგ. ევროპის ჩემპიონი), **დავით ხურცია** (82 კგ), **ელდარ კურტანიძე** (90 კგ. ევროპის ვიცე ჩემპიონი), **ზაზა თურმანიძე** (130 კგ-მდე, ევროპის ექს-ჩემპიონი, ნაკრების უფროსი მწვრთნელი).

პირველობისთვის, რომლის ფინალური ორთაბრძოლები 28 აგვისტოს გაიმართება, ჩვენი ნაკრები ბორჯომში ემზადებოდა, სადაც ორჯერ გაიარა შეკრება. გურამ გედეხაური თვლის, რომ ბიჭები საკმაოდ კარგად არიან მზად (ერთადერთი, ზოზიროვს ჰქონდა ფეხი ნატკენი, მაგრამ ახლა თითქოს ყველაფერი რიგზეა) და უმედლებოდ, რომელთა შორის ოქროც უნდა იყოს, ალბათ არ დაბრუნდებიან. მთავარი მეტოქეები ამერიკელები, რუსები და თურქები იქნებიან. საერთოდ კი, პრეზიდენტის აზრით, ტორონტოს პირველობა ერთ-ერთი უძლიერესი იქნება ოდესმე ჩატარებულთა შორის.



გურამ გედეხაური

მიზეზი: ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები კანადაში დამოუკიდებელი გუნდებით ჩავლენ და ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან. გედეხაურმა თანადგომისთვის მადლობის სიტყვა დაგვაბარა ავიაკომპანია „ორბის“ პრეზიდენტთან ვასილ ჯამბაზიშვილთან, გარდაბნის რაიონის გამგებელთან ნუგზარ მამალაძესთან, ჯანდარის მეურნეობის თავკაცებთან ვახტანგ პირველთან და ულფატ ალაბალოვთან.

— როგორც იქნა, ქართველები მსოფლიოს პირველობებზე დამოუკიდებლად დავდივართ, მაგრამ ძნელი დრო კი გვიდგას — თქვა ბატონმა გურამმა — ბევრი სპორტსმენი ან უცხოეთში მიდის, ან საერთოდ ანებებს სპორტს თავს. სპორტსმენებზე მეტად საგანგაშო კი მწვრთნელების წასვლაა. თუ მწვრთნელი საზღვარგარეთ მიდის ე.ი. ჩვენს მეტოქეებს ზრდის, თუ არა და სხვა სფეროში იწყებს მუშაობას. მიზეზი გასაგებია — მცირე გასამრჯელო. საზოგადოდ ცნობილია, რომ ჭიდაობაში ვარჯიშს ის მოზარდები იწყებენ, თანატოლებში თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას რომ ცდილობენ. ხალიჩასთან მათ ისეთი ადამიანები უნდა დახვდნენ, რომლებიც ენერგიას სპორტული პაექრობისკენ გადაურთავენ. სპორტი სპორტად და ეს უკვე ყაჩაღობისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაა. ასეთ საქმეში სახელმწიფოსაც უნდა უღირდეს ფულის ჩადება და კერძო სექტორსაც. უკუგება, ბუნებრივია არა პირდაპირი გაგებით, ყველას ექნება. ჩვენი ფედერაციის ფალავნებმა წელს უკვე რვა შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა, საიდანაც 19 მედლით დაბრუნდნენ.

რაც შეეხება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს, ჩვენი გუნდი ახლა ბორჯომშია საწვრთნელ შეკრებაზე. 13 სექტემბერს კი ისინიც (სამწუხაროდ, ასევე ნაკლული შემადგენლობით) სტოკჰოლმს გაემგზავრებიან მსოფლიოს პირველობაზე.

პაპუნა კედია

### ქართველები მსოფლიოს ჩემპიონატებზე

#### თავისუფალი ჭიდაობა

**ჩემპიონები**

| | | |
|---|---|---|
| 1954 | ვახტანგ ბალავაძე | II ქვესაშუალო |
| | არსენ მეკოკიშვილი * | მძიმე |
| 1957 | ვახტანგ ბალავაძე | II ქვესაშუალო |
| 1959 | გიორგი სხირტლაძე | I საშუალო |
| 1961 | ვლადიმერ რუბაშვილი | მსუბუქი |
| 1963 | გურამ სალარაძე | II ქვესაშუალო |
| 1965 | გურამ სალარაძე | II ქვესაშუალო |
| 1969 | ზარბეგ ბერიაშვილი | II ქვესაშუალო |
| | შოთა ლომიძე | ქვემძიმე |
| 1971 | ლევან თედიაშვილი | I საშუალო |
| | შოთა ლომიძე | ქვემძიმე |
| 1973 | ლევან თედიაშვილი | II საშუალო |
| 1974 | ლევან თედიაშვილი | II საშუალო |
| 1975 | ლევან თედიაშვილი | II საშუალო |
| 1985 | ლერი ხაბელოვი | ქვემძიმე |
| | დავით გობეჯიშვილი | მძიმე |
| 1986 | ვლადიმერ მოდოსიანი* | I საშუალო |
| 1987 | ლერი ხაბელოვი | ქვემძიმე |
| 1990 | ლერი ხაბელოვი | ქვემძიმე |
| | დავით გობეჯიშვილი | მძიმე |
| 1991 | ლერი ხაბელოვი* | ქვემძიმე |

**მეორე პრიზიორები**

| | | |
|---|---|---|
| 1957 | მირიან ცალქალამანიძე | მჩატე |
| | გიორგი სხირტლაძე | I საშუალო |
| 1959 | ვახტანგ ბალავაძე | II ქვესაშუალო |
| 1962 | რ. ჯლამაძე* | I ქვესაშუალო |
| 1963 | ზარბეგ ბერიაშვილი | I ქვესაშუალო |
| 1965 | ზარბეგ ბერიაშვილი | I ქვესაშუალო |
| 1966 | გურამ სალარაძე | II ქვესაშუალო |
| 1967 | ზარბეგ ბერიაშვილი | I ქვესაშუალო |
| | გურამ სალარაძე | II ქვესაშუალო |
| | შოთა ლომიძე | ქვემძიმე |
| 1978 | ლევან თედიაშვილი | ქვემძიმე |
| 1986 | დავით გობეჯიშვილი | მძიმე |
| 1987 | ვლადიმერ მოდოსიანი* | I საშუალო |

**მესამე პრიზიორები**

| | | |
|---|---|---|
| 1954 | მირიან ცალქალამანიძე | მჩატე |
| | სერგო გაბარაევი | ქვემსუბუქი |
| | ნიკოლოზ მუზაშვილი | მსუბუქი |
| 1959 | ვლადიმერ არსენიანი | ქვემსუბუქი |
| 1969 | ტარიელ ალიბეგაშვილი | მჩატე |
| | ნოდარ ხოხაშვილი | I ქვესაშუალო |

ზემოთმოყვანილი ცხრილი დაზუსტებებს მოითხოვს: საქართველოს ზოგი წარმომადგენელი თავის დროზე სსრკ-ის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდა და იმ კუთხის სახელითაც ასპარეზობდა (ამათ ცხრილში * ვარსკვლავი უზით), მაგრამ მათი მონაგარი მაინც საქართველოსას მივათვალეთ, რადგან მაშინ ყველანი მაინც საბჭოეთის სახელით გამოდიოდნენ — კრასნოიარსკელი მოდოსიანიც და თბილისელი გობეჯიშვილიც.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ნურც არსენიანისა თუ ხაბელოვის „ქართველობა“ შეაკრთობს ვისმე: ანი ჩვენი გუნდი დამოუკიდებლად ასპარეზობს და ბუნებრივია, ყველა მისი წევრი საქართველოს მოქალაქე, ანუ „პოლიტიკურად ქართველი“ იქნება, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ხაბელოვი, რომელიც ამიერიდან „რუსი“ გახდება.



# «წაუსვლელობა არ შეიძლებოდა»

ათასგვარი შეჯიბრებით ისედაც მდიდარ ხელბურთელთა კალენდარში წლეულს კიდევ ორი ახალი ტურნირი გაჩნდა — ევროპის ჩემპიონატი და ევროპის ხელბურთის ფედერაციაში შემავალი ქვეყნების ქალაქების თასის გათამაშება.

სხვებთან ერთად ორივე ასპარეზობაში საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდებიც გამოდიან. ცხადია, ჩვენებს სადღეისოდ ძალა არ შესწევთ იბრძოლონ ფინალურ ეტაპზე გასასვლელად, მაგრამ უცხოეთის წამყვან გუნდებთან თამაშით გამოცდილების შეძენა და თანდათან ოსტატობის ამაღლებაც ხომ აუცილებელია. პირველ რიგში კი საჭირო იყო ევროპულ სარბიელზე გამოჩენა, რასაც საერთაშორისო ფედერაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ქალთა ნაკრები ქვეჯგუფში შვედეთის, შვეიცარიისა და რუმინეთის გუნდებთან ერთად გამოდის. პირველ ორ მეტოქესთან ჩვენებმა უკვე გაარკვიეს ურთიერთობა (როგორც მოსალოდნელი იყო, ოთხივე შეხვედრა წააგეს), აგვისტოს დასაწყისში კი ბოლო ორი მატჩი რუმინეთში უნდა გაემართათ (ორმხრივი შეთანხმებით მოწინააღმდეგეებს მათ მოედანზე ვეთამაშებით). მაგრამ სწორედ იმ დროს რუსული ფულის რეფორმის გამო რუმინეთში გამგზავრება გადაულახავ წინააღმდეგობად იქცა.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ჩვენმა ფედერაციამ ევროპულ ინსტანციაში სასწრაფოდ აფრინა თხოვნა, იქნებ მოგვიანებით გვათამაშოთო. საბედნიეროდ, იქ გაგებით მოეკიდნენ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას და ოქტომბრის ბოლოსთვის გადაგვიწიეს რუმინეთში შეხვედრების ვადა.

ვაჟთა ნაკრებიც ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ნორვეგიელებთან თამაშების წინ დაბოლო დღეს კი არა, სწორედ ბოლო წუთებში მოხერხდა გამგზავრება.

ამის შესახებ უკეთ მოგვიყვება საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი:

— წაუსვლელობა ნამდვილად არ შეიძლებოდა, რადგან უზარმაზარი საჯარიმო სანქციები არ აგვცდებოდა — 20 ათასი შვეიცარული ფრანკის გადახდაც მოგვიწევდა და თან რამდენიმე წლით ჩვენს გუნდებს საერთაშორისო ასპარეზობებში გამოსვლა აეკრძალებოდათ. ამიტომ ყველა ღონე ვიხმარეთ წასასვლელად და მართლაც, სასწაულით, მხოლოდ უკანასკნელ წუთებში გადაწყდა საკითხი დადებითად, რაზეც სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად უდიდეს მადლობას ვუხდი სადაზღვევო კომპანია „ბორანს“ და მის გენერალურ დირექტორს თემურ ნიბლაძეს.



მერაბ მეტრეველი

— თამაშები როგორ წარიმართა?

— ორიოდე თვის წინ ლიტვის ნაკრებთან ჩატარებულ მატჩებთან შედარებით ბიჭებმა ამჯერად უკეთესი თამაში აჩვენეს. ნორვეგიელებთან შეხვედრებში დაცვის აქტიური ფორმა 5+1 ავირჩიეთ და ამან გაამართლა კიდეც. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია გუნდის წევრების თამაშში მატჩიდან მატჩამდე მეტი დამაჯერებლობა იგრძნობა. სადღეისოდ მეტოქეებს ყველაზე მეტად ფიზიკურ მომზადებაში ჩამოვრჩებით. სხვებთან შედარებით ჩვენი ბიჭები დაბლები კი არ არიან, მაგრამ აღნაგობით ბავშვებივით გამოიყურებიან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ნორმალურად ვერ იკვებებიან, არც სათანადო სამედიცინო და აღდგენითი საშუალებები გაგვაჩნია. უამისოდ კი უცხოელებთან კონკურენციაზე ნაადრევია ლაპარაკი.

ლილეჰამერში მეორე მატჩის დასაწყისი ჩვენი უპირატესობით წარიმართა. ბიჭები ჩინებულად თამაშობდნენ და თითქმის მთელი ტაიმი 5-6 ბურთით ვიყავით წინ. მასპინძლებმა ჩვენს შეტევებს ვერაფერი მოუხერხეს. მაგრამ ლიდერობის შენარჩუნებასაც ცოდნა უნდა — ამ დროს მთავარია ბურთი დიდხანს გაათამაშო და ტემპის დასაგდებად წესებით დაშვებული ყველა საშუალება გამოიყენო. ჩვენები კი სულ წინ მირბოდნენ, ანგარიშის გაზრდა უნდოდათ. ამიტომ რამდენიმე შეცდომაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მასპინძლებს გარდატეხა შეეტანათ თამაშში. ამასთან, მეორე ტაიმში სწორედ ჩვენმა გამოუცდელობამ და ფიზიკურმა სისუსტემ იჩინა თავი და ეს შეხვედრაც წავაგეთ — 24:30 (12:9). პირველ მატჩში 11 ბურთით დავმარცხდით — 20:31.

— კონკრეტულად ვის თამაშს გამოყოფდით?

— შესანიშნავად ითამაშა ბექა ორჯონიკიძემ, რომელმაც 9 გოლის გატანა შეძლო. ბექა მალე ესპანეთში გაემგზავრება, სადაც კონტრაქტით ითამაშებს ერთ-ერთ იქაურ კლუბში. ჩვენი გუნდის ლიდერმა ერიკ სივოპლიასოვმა, მიუხედავად იმისა, რომ მას მცველები თავიდანვე მჭიდროდ მეურვეობდნენ, მაინც მოახერხა 6 ბურთის გატანა. აღსანიშნავია აგრეთვე მამუკა მჟავანაძის, ვახტანგ მეიფარიანისა და მეკარე თამაზ ქოქოსაძის საიმედო თამაში.

— ლილეჰამერში რატომ ჩატარდა მეორე მატჩი?

— ნორვეგიელებმა სწორედ ჩვენთან მეორე შეხვედრას დაამთხვიეს მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი სარბიელის „ჰიოკონ ჰალეს“ გახსნა. წარმოუდგენელი სილამაზის საოცნებო კომპლექსი, რომელიც 12 ათას მაყურებელს იტევს, გაისად ზამთარში რამდენიმე სახეობის წარმომადგენლებს უმასპინძლებს. ამ ახალ არენაზე პირველი გოლი ჩვენ გავიტანეთ — მეორე წუთზე გუნდის კაპიტანმა ვახტანგ მეიფარიანმა ზუსტი ტყორცნით დააგვირგვინა ლამაზი შეტევა.

— ახლა მთავარი საზრუნავი, ცხადია, ევროპის თასებზე თამაშია.

— რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ საქართველოდან ხუთი გუნდი იასპარეზებს. ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ტექნიკური უნივერსიტეტი — „შევარდენის“ მეტოქეა სლოვაკეთის ჩემპიონი, ქალაქ პრეშოვის „ტატრანი“. მოწინააღმდეგის შესახებ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი ვიცით: ვიცით მხოლოდ ის, რომ ჩეხეთ-სლოვაკეთის ბოლო ჩემპიონატის გამარჯვებულია, ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი, დიდი ტრადიციების კლუბია. უკანასკნელი მონაცემებით, ბევრი მოთამაშე უცხოურ კლუბში გადავიდა. ჩვენს საქმეს ის ართულებს, რომ სტუ-ც და სხვა გუნდებიც ორივე შეხვედრას სტუმრად გამართავენ. თასების მფლობელთა თასზე „ამირანი“ უკრაინელებს — ბროვარის „სვეტოტეხნიკს“ უნდა ეთამაშოს. ევროპის ფედერაციის თასის გათამაშებაში „მამული“ საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს ამავე სახელწოდების გუნდს შეხვდება. ხოლო ახალი, ქალაქების თასზე მოასპარეზე „კოლხეთი-91“-ისა და სტუ — „მართვეს“ (ქალები) მეტოქეები შესაბამისად იქნებიან ხორვატიის „კარლოვაცკა პივოვარა“ და პორტუგალიის „კოლეჟიო დე გაია“.

ვფიქრობ, ჩვენს გოგონებს წინსვლის პერსპექტივა აქვთ. მით უფრო, რომ წელს მათ საკმაო გამოცდილება შეიძინეს მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობის მატჩებში. ჩემი აზრით, „ამირანსაც“ აქვს შანსი. ვნახოთ.

გია ახალაძე



# ყველაფერს თავისი დრო აქვს

...სებობს აზრი, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს წევრი და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელი ლევან ინწკირველი ეროვნული საკალათბურთო ლიგის შექმნის ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი მოწინააღმდეგეა. „სარბიელის“ წინა ნომრებში ლიგის პრობლემების შესახებ უკვე იყო საუბარი. სრულყოფილი სურათის დასახატავად გადავწყვიტეთ ბატონ ლევანსაც გავსაუბრებოდით.



— ბატონო ლევან, რატომ ბრძანდებით ახალი ლიგის შექმნის წინააღმდეგი?

— ლიგის შექმნის პრინციპულად წინააღმდეგი სულაც არ ვარ. ახალი და პროგრესული ყველაფერი კარგია, მაგრამ ყველაფერს სწორად და თავის დროზე სჭირდება ამოქმედება. ლიგა უნდა დაარსდეს ისე, რომ არ შეილახოს მოთამაშეთა და გუნდების უფლებები, არ უნდა შემცირდეს მონაწილეთა რაოდენობა. დღეს ბევრი გუნდი ფინანსურად არ არის მზად პროფესიონალიზმზე გადასვლისთვის. ჩემი აზრით, კიდევ ორი-სამი წელი ძველი სისტემით მუშაობა აუცილებელია, რათა შეიქმნას საჭირო რაოდენობის გუნდები. მე ხუთ-ექვს გუნდიანი ლიგის შექმნაში აზრს ვერ ვხედავ. პროფესიული ლიგის გარდა შესაქმნელია ქვედა ეშელონი, თორემ ის ახალგაზრდა, რომელიც თავიდანვე პროფესიონალი ვერ გახდება, დაიკარგება. არადა ყველა ერთსა და იგივე ასაკში ვერ ავლენს შესაძლებლობებს.

— რამდენადაც ვიცი, საუბარი იყო ეროვნული და სტუდენტური ლიგების შექმნის შესახებ.

— დღეს ჩვენ შორს ვართ იმისგან, რომ ორი სრულყოფილი ლიგა შევქმნათ. ადრე უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე ყველას გამოჰყავდა გუნდი, ახლა მათგან თითო-ოროლა შემორჩა. პროფესიული ლიგის ავტორებს, წელსვე უნდოდათ ხორცი შეესხათ თავიანთი იდეისთვის, ეს კი გამოიწვევდა უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, „მართვეს“, სამტრედიის და სხვა გუნდების ლიგის გარეშე დატოვებას. ლიგის წესდებაში საუბარია კომერციული სამსახურის შექმნაზე. ნათქვამია, რომ მოგების 33 პროცენტი ჯილდოდ გადაეცემა პრიზიორებს, ბოლო სამ ადგილს კი ეკარგება პირველადი შენატანის 20, 15 და 10 პროცენტი. ეს უარყოფითი მხარეა. კომერციულ სამსახურს კარგი შემოსავალი იმ შემთხვევაში ექნება, თუ გუნდების რაოდენობა ათი მაინც იქნება.

— ამა თუ იმ გუნდის გაკოტრებას, ალბათ, ვერც აწყობილი კაპიტალიზმის პირობებში გადავურჩებით...

— კანონი უნდა ჩაერიოს საქმეში. ამერიკელთა მსგავსად, გაკოტრებული გუნდიდან მოთამაშეთა გადაყვანის პრივილეგია აუტსაიდერს უნდა მიეცეს. უნდა დაწესდეს ლიმიტი გადაბირებულ კალათბურთელთა რაოდენობაზე. საქართველოში მსგავსი კანონის უქონლობის გამო უკვე დაზარალდნენ გუნდები. ჩვენ, სტუ-საც გვაქვს პრობლემები. ორი მოთამაშე „დინამომ“ წაიყვანა, სამი „ჯიქში“ მიდის, ერთი — „შევარდენში“. ფაქტობრივად, ხელახლა გვიხდება დაკომპლექტება. ეს პროცესიც ჭიანურდება, რადგან კარგ კალათბურთელებს ვეძებთ.

— თქვენ, რომ რომელიმე შეძლებულ გუნდს ხელმძღვანელობდეთ, ლიგის მიმართ იგივე პოზიცია გექნებოდათ?

— დიახ, იგივე აზრზე ვიდგებოდი, რადგან ვთვლი, რომ საბოლოო მიზნისთვის ასე აჯობებს.

ილია ბაბუნაშვილი

## რაგბი

სიდნეი, „ფუტბოლ სტეიდიუმი". შაბათი, 21 აგვისტო. მესამე ტესტი

**ავსტრალია 19 (6) — სამხრეთი აფრიკა 12 (5)**

ლ: ჰორანი; გ, 4ს: რობაკი — 2ლ: სმოლი, პინარი; გ: სტრანსკი

„ვოლაბები": რობაკი; კემპიზი, ლითლი, ჰორანი, სმითი; ბოუენი, ფარ-ჯოუნზი; დეილი, კერნსი (კაპ), მაკკენზი; ვილსონი, მაკკოლი, მორგანი, ტაბუა; გევინი
„ქურციკები": ჟუბერი; სმოლი, მულერი, ფიულსი, ოლივიე; სტრანსკი, დიუპრე; სვორტი, შმიდტი, ენდრიუსი; მაკდონალდი, სტრაიდომი, ვეგნერი, პინარი (კაპ); სტრაუსი
მსაჯი: მორისონი (ინგლისი)

# „კამპოს" ბენეფისი



მეორე შაბათია, ავსტრალიელი მობურთალეები იმარჯვებენ „ფუტბოლ სტეიდიუმზე", რომელიც ფეხბურთელთა და მორაგბეთა საზიარო ეროვნული სტადიონია. თუ წინა შაბათს ფეხბურთის გუნდმა კანადას სძლია და აშშ-ში წასასვლელად ახლა სამხრეთი ამერიკის წარმომადგენელს უნდა შეეჯიბროს, მსოფლიოს ჩემპიონმა მორაგბეთა ნაკრებმა ამ შაბათს მოიგო გადამწყვეტი ტესტი და ტესტ-სერიაც სამხრეთი აფრიკის წინააღმდეგ.

სტუმრებმა მეორე ტესტის უსიტყვოდ წაგების შემდეგ ორი მოთამაშე შეცვალეს: ლოტერის ადგილი მაკდონალდს ანდეს, მცველობა კი შუა ტურნეს დროს შინიდან გამოძახებულ ჟუბერს დააკისრეს, რის შედეგადაც ისე გამოვიდა, რომ „ქურციკებმა" სამ ტესტში სამი მცველი — ვან რენსბერგი, რიის-ედვარდსი და ჟუბერი ათამაშეს. ჟუბერი მას შემდეგ ალზევდა, რაც ბოლოსწინა თამაშში სიდნეის ნაკრებს ექვსი დარტყმით 16 ქულა გაუტანა.

ტრავმებმა „ვოლაბებს" კინაღამ ხელიდან გამოაცალა ფარ-ჯოუნზი, კერნსი და ტაბუა. ბედად, სამივე დროულად მომჯობინდა.

მესამე ტესტი კემპიზის ბენეფისი გამოდგა. იგი გუნდის სული და გული იყო და ყოველი მოქმედებით ზაფრავდა „ქურციკებს", რომლებმაც თავი ოდენ უბურთო მეტოქეთა ბოჭვით ისახელეს. ამას ბევრი ჯარიმა მოყვა, რომელთაგან ოთხი რობაკმა თამაშის პირველ საათში შეაგდო, რასაც სტუმრებმა გადაცემის ჩაჭრის შედეგად გატანილი ლელოთილა უპასუხეს.

ავსტრალიას სიდნეიში კვლავ ვერ გაჰქონდა ლელო. ნავსი 62-ე წუთზე გატყდა. „ვოლაბებმა" მარჯვნივ შეუტიეს, მერე ფარ-ჯოუნზმა ბურთი მარცხნივ მისცა კემპიზის, მას კი გევინი და კერნსი მიყვნენ. ბოლოს კემპიზმ ჰორანს შორს მიაწოდა ბურთი და ალამთან ლელო გაატანინა. რობაკმა გარდასახა 19:5 და თუმც 76-ე წუთზე დერეფნიდან შეტევის შემდეგ სტუმრებმა ლელო გაიტანეს, ამით აღარაფერი შეცვლილა — „ვოლაბებმა" სამი კვირის წინ წაგებისათვის იმავე ანგარიშით აიღეს რევანში და სერიაც მოიგეს 2-1.

მეტოქენი 21 თვით დაშორდნენ ერთურთს. მათი შემდეგი შეხვედრა 1995 წლის 25 მაისს, კეიპტაუნში, „ნიულენდზზე" გაიმართება. ამ თამაშით მესამე მსოფლიო ჩემპიონატი გაიხსნება.

რაც შეეხება საერთაშორისო სეზონს, იგი ოქტომბრიდან ევროპაში გაგრძელდება. ავსტრალია საფრანგეთს ეწვევა, ახალი ზელანდია — ინგლისსა და შოტლანდიას, იაპონია — უელსს. მხოლოდ „ქურციკები" დარჩებიან ეკვატორს ქვემოთ — არგენტინაში გამართავენ ტურნეს.

### დევიდ იენ კემპიზი
### ავსტრალია

31 წლისა, წარმოშობით იტალიელი, მეტსახელად „კამპო"; 177 სმ, 85 კგ; უცოლო; მელუდე „ტუის" სარეკლამო აგენტი.
ამპლუა: გარემარბი ან მცველი; კლუბები: სიდნეის „რენდვიკი" (ზაფხულში) და მილანის „მედიოლანუმ ამატორი" (ზამთარში). პროვინცია — ახალი სამხრეთი უელსი.
ავსტრალიის ნაკრებ „ვოლაბებში" 1982 წლიდან თამაშობს. მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონია. ავსტრალიის რეკორდსმენია ნაკრებში გამართული თამაშებით (77 კეპი), მსოფლიოსი — ტესტებში გატანილი ლელოებით (54; ამათგან 6 ხუთქულიანია).

ტესტ-მატჩებში მონაწილეობა:

| მეტოქე | თ | ლ (5ქ) | გ | ს | ა |
|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 25 | 8 (1) | - | 2 | - |
| საფრანგეთი | 8 | 5 | 1 | 2 | - |
| ინგლისი | 7 | 5 | - | - | - |
| არგენტინა | 5 | 6 | 3 | 2 | - |
| უელსი | 5 | 3 (1) | - | - | - |
| შოტლანდია | 4 | 6 | - | - | - |
| ირლანდია | 4 | 3 (1) | - | - | - |
| სამხრ. აფრიკა | 4 | 1 (1) | - | - | - |
| აშშ | 3 | 6 | 1 | - | 1 |
| იტალია | 3 | 5 | 3 | 1 | - |
| ფიჯი | 3 | 3 | - | - | 1 |
| ბრიტ. ლომები | 3 | - | - | - | - |
| იაპონია | 1 | 1 | - | - | - |
| სამოა | 1 | - | - | - | - |
| ტონგა | 1 | 2 (2) | - | - | - |
| სულ | 77 | 54 (6) | 8 | 7 | 2 |

### „ქურციკთა" გეზი

| | | | „ქურციკები" | | | | | მეტოქე | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I | ოთხ | 14 VII | 71 | 11ლ | 8გ | | | დას. ავსტრალია | 8 | ლ | | . | . |
| II | შაბ | 17 VII | 90 | 14ლ | 10გ | | | სამხ.ავსტ.წვეულ. | 3 | | | . | . |
| III | ოთხ | 21 VII | 78 | . | . | . | . | ვიქტორია | 3 | | | . | . |
| IV | შაბ | 24 VII | 28 | 3ლ | . | . | . | ახ.სამხრ.უელსი | 29 | 4ლ | | . | . |
| V | სამ | 27 VII | 41 | 5ლ | 2გ | 4ს | | ასუ პროვინციები | 7 | ლ | გ | | |
| VI | შაბ | 31 VII | 19 | 3ლ | 2გ | | | „ვოლაბები" | 12 | | | 4ს | |
| VII | ოთხ | 4 VIII | 57 | 7ლ | . | . | . | დედაქალაქი | 10 | | . | . | . |
| VIII | კვი | 8 VIII | 17 | 2ლ | 2გ | ს | | ქვინზლენდი | 3 | | | | . |
| IX | ოთხ | 11 VIII | 63 | 11ლ | 4გ | | | ქვინზ. პროვინც. | 5 | ლ | | | |
| X | შაბ | 14 VIII | 20 | 2ლ | 2გ | 2ს | | „ვოლაბები" | 28 | 3ლ | 2გ | 3ს | |
| XI | სამ | 17 VIII | 31 | 3ლ | 2გ | . | . | სიდნეი | 20 | | . | | . |
| XII | შაბ | 21 VIII | 12 | 2ლ | გ | | | „ვოლაბები" | 19 | ლ | გ | 4ს | |

სულ: 12 თამაში; 9 მოგება, 3 წაგება; ბურთები 527-147
ტესტ-სერია: 1-2; ბურთები 51-59; ლელოები 7-4; საჯარიმოები 2-11









# დიდი ოდისეის სამი დღე

ვინც გინესის წიგნის თერთმეტგზის რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავასთან დედამიწის გარშემო ველოსიპედით მოგზაურობის დაწყებამდე ჩამორთმეულ ინტერვიუს გაეცნო, ეხსომება, რომ მან წარმატებათა თითქმის ნახევარს ცამეტში მიაღწია. ამიტომ შემთხვევით არ იყო, რომ მან თავისი ოდისეა რუსთაველიდან სწორედ ცამეტში დაიწყო, თანაც 9 საათსა და 13 წუთზე. აი, ის კი ბედნიერი დამთხვევა იყო, რომ ბათუმში ჩასულებს გადატვირთულ სასტუმრო „მესხეთში" ერთი თავისუფალი ოთახი მე-13 სართულზე და თანაც, მე-13 ნომერში დაგვხვდა.

წარმოიდგინეთ ჯუმბერ ლეჟავას გახარება, როცა მისმა თანმხლებმა პირებმა ის ნომერი მოგზაურს დავუთმეთ; ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს მისთვის სიურპრიზი იყო.

ლეჟავას ამ მოგზაურობისას თან მიაქვს ქართულ და ინგლისურ ენებზე დასტამბული რწმუნების სიგელი, რომელშიც საქართველოს პარლამენტის ტურიზმისა და სპორტის კომისია, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და რესპუბლიკის სპორტკომიტეტი მადლობას უხდიან ყველას, ვინც დედამიწის ირგვლივ მოგზაურს თუნდაც მცირეოდენ მასპინძლობას გაუწევს.







ახლა გვინდა გაგაცნოთ ისინი, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე დაიმსახურა ეს მადლობა. ჯერ იყო და მცხეთაში შოთა ქერდიყოშვილის ოჯახმა ისეთი სუფრა გაგვიშალა, რომ ძველ დროშიც კი შეშურდებოდა კაცს. მერე ზესტაფონის რაიონის სოფელ ილორის მკვიდრ ბიჭიკო სულიაშვილის კარმიდამოში შამფურზე წამოცმული და თონეში ჩაყუდებული ციკანი დაგვხვდა. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანაში შუაღამისას ჩასულები ავტოინსპექციის მუშაკებმა ორიოდე საათით „დაგვაპატიმრეს" და მანამ შამფურზე წამოცმული ბურვაკი არ მოგვართვეს, „ტუსაღებად" დაგვტოვეს. ფოთში დედამიწის ირგვლივ იახტით მოგზაურ ჯუმბერ ცომაიას ოჯახში შამპანურების ისეთი ბათქა-ბუთქი ატყდა, კაცს თავი ლამის თბილისში ეგონებოდა. ფოთშივე მებადურებმა რომ გაიგეს, ეს კაცი ჯუმბერ ლეჟავააო, პირველ ბადეს ამოყოლილი თევზი სულ ჩვენ მოგვცეს (ამ თევზმა დიდად გვიშველა, როცა ბათუმში მთელი დღის მშივრები გემრიელად დავნაყრა). მერე იყო და აჭარის შესასვლელთან მებაჟეებმა გამოიდეს თავი, თქვენი მასპინძლობა ჩვენთვის დიდი პატივიაო.

ერთი სიტყვით, ბათუმამდე, რომ იტყვიან, სულ ტაშფანდურით ჩავედით. მიუხედავად ამისა, ბატონი ჯუმბერი ისეთ მადაზე იყო, სულ მშიამშიაო, გაიძახოდა.

აქამდე სხვები კი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მასპინძლობაში, მაგრამ ბათუმში აღარავის გავხსენებივართ; თუმცა, აქ ჩვენი თავი რატომღაც ჩვენ თვითონაც დაგვავიწყდა. ამიტომ ჯუმბერ ლეჟავა და ტელევიზიელთა („იარის") სამკაციანი ჯგუფი თურქეთისკენ მიმავალ გზას დილაადრიან მშიერ-მწყურვალი დაადგნენ და საზღვარიც ასევე გადაკვეთეს. გამოლმა დარჩენილები ეხუმრობდით, ეტყობა ბატონი ჯუმბერი კიდევ ერთ რეკორდს უმიზნებსო.

სხვათა შორის, როცა ჯუმბერ ლეჟავას მოგზაურობის გრაფიკს გავეცანით, დიდი ეჭვი გაგვიჩნდა, რომ 54 წლის კაცი მის დაცვას შეძლებდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, სასტიკად მოვტყუვდით. მან რუსთაველიდან ხაშურამდე, სადაც პირველი ღამე გავათიეთ, შესანიშნავ ტემპში იარა. მეორე დღეს სამტრედიის სასტუმრო მხედრიონელებით სავსე რომ დაგვხვდა, იძულებული გავხდით ლანჩხუთამდე დაგვეგრძელებინა გზა, რომელიც ლეჟავამ ისე გაიარა, თითქოს უკან ნახევარი საქართველო არ მოეტოვებინოს. ქობულეთიდან ბათუმში გადასასვლელი მთებიც გაითვალისწინეთ...

დღეს ჯუმბერ ლეჟავა თურქეთის გზებს მიუყვება. აქამდე მას ბევრი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა, რაზეც მომდევნო ნომერში გიამბობთ.

ავთანდილ გურასაშვილი,
„სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტი
(ავტორის ფოტოები)

# სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

**თამაშის წესები:**

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, თქვენი პროგნოზის გამართლების შემთხვევაში მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგება შეადგენს დადებული თანხის ოთხმაგ რაოდენობას.

ფსონის მინიმალური თანხაა 500 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

ფსონების მიღება წყდება მატჩის დღეს 16 საათზე. მოგებები გაიცემა მატჩის მეორე დღესვე.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე და სასტუმრო „აჭარის" ფოიეში 12-დან 15 საათამდე.

**უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:**

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 28 აგვისტო | ლევერკუზენი — დორტმუნდი | | 1,5 | 2,0 | 3,5 |
| | შალკე 04 — კიოლნი | | 1,5 | 2,0 | 3,5 |
| | ნიურნბერგი — აინტრახტი | | 2,3 | 2,0 | 2,0 |
| | კაიზერსლაუტერნი — ვერდერი | | 2,1 | 2,0 | 2,1 |
| | სენტ-ეტიენი — ბორდო | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | ოსერი — ლიონი | | 1,7 | 2,0 | 2,8 |
| | ლე ავრი — სტრასბური | | 1,7 | 1,7 | 3,5 |
| | მონაკო — მარსელი | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| 29 აგვისტო | ატალანტა — კალიარი | | 1,4 | 2,0 | 4,6 |
| | ჯენოა — რომა | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | ლეჩე — მილანი | | 3,5 | 1,7 | 1,7 |
| | უდინეზე — პარმა | | 2,0 | 2,0 | 2,3 |
| | არგენტინა — პარაგვაი | 0:1 | 1,5 | 1,7 | 4,6 |
| | კოლუმბია — პერუ | 0:1 | 1,4 | 1,7 | 5,8 |
| | ბრაზილია — ბოლივია | 0:1 | 1,6 | 1,6 | 4,6 |
| | ფორმულა-1. პირველი სამეული | | 10,0 | | |

## საჯილდაო

ბოლო დროს მოდური გახდა მკითხველისათვის ნაირგვარი ტესტისა თუ გამოცანის შეთავაზება. ჰოდა, ჩვენც ფეხი ავუწყვეთ დროებას და გადავწყვიტეთ, რომ ზედიზედ

**? ცხრა კვირის განმავლობაში დაგისვათ ცხრა-ცხრა შეკითხვა სპორტის ცხრა სახეობის შესახებ, ?**

ისე, რომ კითხვები სამშაბათობით გაგაცნოთ, პასუხებით კი პარასკეობით გაგახაროთ.

მერე ჯილდო? — ალბათ იკითხავთ. ჩვენ, აბა, რას მოვალთ რეზონანსელ ძია ევგენთან? თანაც ვერც ფოსტა ან ტელეფონი მუშაობენ ისე, პასუხები დროულად და სწორად რომ მივიღოთ. ჯილდოდ კი, ჩვენი აზრით, ისიც იკმარებს, რომ სპორტის თქვენეული ცოდნის გასინჯვა შეგეძლებათ.

„გემოვნებაზე არ დაობენო", ნათქვამია. მავანს ერთი სპორტი მოსწონს, სხვას — მეორე. საკითხავად ისეთი სახეობები შევარჩიეთ, რომელსაც „სარბიელი" გამორჩეულად სწყალობს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ გაგანია ჯილდაობაში ზოგი სახეობა სხვით შევცვალოთ.

განზრახული ასე გვაქვს — კითხვები წრეობრივად უნდა გართულდეს. პირველი წრის კითხვები უმარტივესია და თითოს გამოცნობა თითო ქულად უნდა შეაფასოთ.

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

**პირველი წრე**

(1) რა სიგრძისაა მარათონული რბენის ტრასა?
(2) წლეულს ვინ სცნეს საქართველოს საუკეთესო კალათბურთელად?
(3) რომელი ქვეყნები არიან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ფეხბურთში?
(4) რამდენ დაფაზე იმართება ქალთა შეჯიბრება საჭადრაკო ოლიმპიადებზე?
(5) რისი საფარი აგია უიმბლდონის კორტებზე?
(6) რამდენ ქულად ფასდება რაგბში ლელოს გატანა?
(7) ვაჟთა რომელი გუნდია ფრენბურთის ოლიმპიური ჩემპიონი?
(8) ფორმულა-1-ში რომელ დღეს იმართება შესარჩევი რბოლები?
(9) ზამთრის ოლიმპიადის რომელი დედაქალაქი გააპარტახა ომმა?

## ეს საშარო კრიკეტი



კრიკეტის საერთაშორისო საბჭომ (იკკ) მნიშვნელოვან თამაშებზე ორიდან ერთი ნეიტრალური მსაჯის დანიშვნა კი დააწესა, მაგრამ შრი-ლანკის კრიკეტის ხელისუფალთა გული მაინც ვერ მოიგო. ლანკელებმა რომ შეიტყვეს, ჩვენს თამაშებს ტურნეზე ჩამოსული სამხრეთაფრიკელების წინააღმდეგ ახალი ზელანდიის კაპიტანყოფილი ჯონ რიიდი იმსაჯებსო, მყის პროტესტით მიმართეს იკკ-ის თავმჯდომარეს, სერ კოლინ კოლდრის. თურმე ნუ იტყვით, რიიდი თამაშისათვის თავის დანებების შემდეგ სამი წლის მანძილზე ჩრდილოეთ ტრანსვაალის მწვრთნელი ყოფილა, რაც ლანკელთა აზრით, საკმარისი საბუთია საიმისოდ, სტუმართა მიმართ სიმპათიებით რომ იყოს განწყობილიო.

მომჩივანთა დასამშვიდებლად კოლდრიმ ლანკელ მოკრიკეტეთა „მამას" — ტაირონ ფერნანდოს წერილობითი გარანტია მისცა, რიიდი კარგა ხანია ისევ სამშობლოში დაფუძნდა და სამხრეთ აფრიკის მიმართ არანაირ ინტერესს აღარ იჩენსო. ფერნანდო საბოლოოდ მას შემდეგლა მოლბა, რაც მსაჯი შრი ლანკაზე ჩავიდა და მასპინძელთა გუნდს წაებაასა.

ამასობაში ქალაქ კანდის მოსახლეობა დიდი ამბით შეეგება სამხრეთაფრიკელ სტუმრებს. კანდელებს კრიკეტის ხილვა მოსწყურდათ, ვინაიდან ივლისში მათ სტადიონზე ინდოეთის წინააღმდეგ დანიშნული ტესტი ჩაიშალა. ხუთი დღის მანძილზე მაღალმთიან ქალაქში თითქმის გადაუღებლად წვიმდა, წვიმაში კი კრიკეტს არ თამაშობენ. ხუთდღიანი ტესტი საბოლოოდ 15-წუთიან მოთელვამდე დავიდა, რაც მსოფლიოს რეკორდი ყოფილა.

ზაზა კირკიტაძე

## შედეგთა დაფა

### ჩოგბურთი

ინდიანაპოლისი. აშშ-ის ჩემპიონატი ხისტსაფარიან მოედნებზე. 16-22 აგვისტო. საპრიზო ფონდი — მილიონი დოლარი

მეოთხედფინალები: ჯიმ კურიე (აშშ, განთესვის ნომერი 2) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 7) 6:3, 6:4; ლუის მატარი (ბრაზილია) — ჯიმი არიასი (აშშ) 6:2, 6:2; პატრიკ რაფტერი (ავსტრალია, 20 წლისა, მსოფლიო კლასიფიკაციაში 139-ე) — პიტ სამპრასი (აშშ, 1) 7:6, 6:7, 7:6; ბორის ბეკერი (გერმანია, 3) — რიჩი რენებერგი (აშშ) 6:4, 6:3. ნახევარფინალები: კურიე — მატარი 2-0; ბეკერმა სძლია რაფტერს. ფინალი: კურიე — ბეკერი 7:5, 6:3. ბეკერს კურიესთან მოგებული ჰქონდა წინა 6 თამაში. კურიემ გამარჯვებისთვის 152 ათასი დოლარი მიიღო. გუშინდლიდან კურიე მსოფლიო კლასიფიკაციაში ისევ ალზევდა სამპრასის ხარჯზე, რომელმაც კურიე ოთხნახევარი თვის წინ ჩამოაქვეითა. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) არიასმა დაამარცხა 3:6, 6:4, 6:4

ნიუ-ჰეივენი, კონექტიკუტის შტატი, აშშ. „ვოლვო ინტერნეშენალ" — პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის შეჯიბრება. 16-22 აგვისტო. საპრიზო ფონდი 1,040,000 დოლარი

მეოთხედფინალები: ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — იონას სვენსონი (შვედეთი) 7:6, 1:6, 6:4; ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია, 8) 6:3, 6:3; ანდრე აგასი (აშშ, 10) — ივან ლენდლი (აშშ, 2) 5:3 (თამაში წვიმის გამო შეწყდა); პეტერ კორდა (ჩეხეთი, 4) — სტეფან პესკოსოლიდო (იტალია) 6:3, 6:3. ფინალი: მედვედევი — კორდა 7:5, 6:4. შტეფან ედბერგმა (შვედეთი, 1) წააგო დანიელ ვაჩეკთან (ჩეხეთი) 3:6, 4:6 და წაგება ბინდბუნდს დააბრალა

ტორონტო. კანადის ქალთა ღია ჩემპიონატი. 16-22 აგვისტო. საპრიზო ფონდი 750 ათასი დოლარი

მეოთხედფინალები: შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:2, 7:5; მანუელა მალეევა-ფრანიე (შვეიცარია, 8) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) 6:4, 6:4; არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2, შარშანდელი ჩემპიონი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 5:7, 6:2, 6:1; ჯენიფერ კაპრიატის (აშშ, 6) უთამაშებლად დანებდა სნეული ჟული ალარი (საფრანგეთი). ნახევარფინალები: გრაფი — მალეევა-ფრანიე 6:2, 6:1; კაპრიატი — სანჩეს-ვიკარიო 7:6, 6:2. ფინალი: გრაფი — კაპრიატი 6:1, 0:6, 6:3. გაბრიელა საბატინიმ (არგენტინა, 3) წააგო ალართან 4:6, 6:4, 6:7; ტრეისი ოსტინმა (აშშ) წააგო ტოზიასთან; ლეილა მესხმა მესამე წრეში (მერვედფინალში) წააგო მერი-ჯო ფერნანდესთან 3:6, 3:6

### პინგ-პონგი

მსოფლიო თასი. გუანჯოუ, ჩინეთი. კვირა, 22 აგვისტო

ვაჟთა ფინალი: ზორან პრიმორაცი (ხორვატია) — ვენ ტაო (ჩინეთი) 3:2 (19, -16, 18, -18, 18). პრიმორაცმა პირველი ტიტული მოიპოვა

### ავტორბოლა

„ინდიკარის" ჩემპიონატის ეტაპი. ელკარტ ლეიკი, ვისკონსინის შტატი, აშშ. კვირა, 22 აგვისტო

1. პოლ ტრეისი (კანადა) — ლიდერობდა თავიდან ბოლომდე; 2. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი). საერთო ჩათვლაში მენსელი კიდევ უფრო მეტად, 31 ქულით დაწინაურდა

### მოტორბოლა

500 კუბური სანტიმეტრის კლასი. მსოფლიო პირველობის XI ეტაპი. „ჩეხეთის დიდი პრიზი". მაზარიკის ტრასა, ბრნო. კვირა, 22 აგვისტო

1. ვეინ რეინი (აშშ, „იამაჰა", ბოლო სამი წლის ჩემპიონი); 2. ლუკა კადალორა (იტალია, „იამაჰა"); 3. მაიკლ დუენი (ავსტრალია, „ჰონდა"); 4. ჯონ კუზინსკი („კაჯიმა"); 5. კევინ შვონცი (აშშ). ამ გამარჯვებით რეინიმ შვონცს საერთო ჩათვლაში 11 ქულით გადაუსწრო. რჩება სამი ეტაპი

### რაგბი

„ქარრის თასი" — სამხრეთი აფრიკის პროვინციათა პირველობა

21 VIII. ტრანსვაალი 22 ნატალი 50; დასავლეთი კონცხი 14 ჩრდილოეთი ტრანსვაალი 27; აღმოსავლეთი კონცხი 50 ნარინჯი 0. ლიდერობს ნატალი

ახალი ზელანდიის პროვინციათა პირველობა. პირველი ჯგუფი

21 VIII. ვაიკატო (ჩემპიონი) 18 ველინგტონი 24; სამეფო ქვეყანა 23 კენტებრი 34; ტარანაკი 21 პოქის ყურე 18. 22 VIII. ჩრდილოეთი ნავსაყუდელი 9 ოკლენდი 25. სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ (12 ქულით) ოკლენდი ლიდერობს

### ველოსპორტი

მსოფლიო ჩემპიონატი. ჰამარი, ნორვეგია. სატრეკო სახეობები. 19-22 აგვისტო

ვაჟთა 4 კმ გამოდევნება 1. გრემ ოუბრი (დიდი ბრიტანეთი) 4.20,894 (მსოფლიო რეკორდი); 2. პიერ ერმინელი (საფრანგეთი); 3. კრის ბორდმენი (დიდი ბრიტანეთი). ოუბრიმ წინადღით ნახევარფინალშიც მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ქალთა 3 კმ გამოდევნება. 1. რებეკა ტვიგი (აშშ) 3.37,347 (მსოფლიო რეკორდი); 2. მარიონ კლინიე (საფრანგეთი); 3. ჯენი აიკოვი (აშშ)

ვაჟთა გუნდური 4 კმ გამოდევნება. 1. ავსტრალია (მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესეს 2 წამით)

ვაჟთა სპრინტი. 1. გერი ნივანდი (ავსტრალია); 2. მიხაელ ჰიუბნერი (გერმანია)

„იაპონური ქეირინი" (ერთი პირობა ჯგუფად რბოლა მცირე მოტოციკლის კვალად). 1. გერი ნივანდი. ავსტრალიელი ფინიშზე მეორე იყო; პირველი — ფრედერიკ მაჟიე (საფრანგეთი) ტრეკიდან გადასვლისათვის ჩამოაქვეითეს

ტანდემი. 1. იტალია (პარიზი — გონტიალპა); 2. ავსტრალია (პეიტი — დეი)

## აქეთური, იქითური

პირველი კონგოელი პროფესიონალი მსოფლიოს ჩემპიონი (კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით), ქვემძიმე წონოსანი ანაკლე ვამბა წოდების დასაცავად ემზადება. 16 ოქტომბერს საფრანგეთში მას უძლიერესის სახელს ალჟირული წარმომავლობის ფრანგი, ევროპის სამგზის ჩემპიონი ჰაკიმ ტარიფი შეეცილება. „სახელგანთქმული მეტოქის არ მეშინია", — განაცხადა ვამბამ. „კრივი ჩხუბი კი არა, თამაშია, რომლის მოგებასაც უნდა ეცადო". კონგოელი მოკრივე თავადაც კარგა ხანია საფრანგეთში ცხოვრობს, მაგრამ მშობლიურ კუთხეს, კონგოს ჩრდილოეთი პროვინციის სოფელ ირანგასაც არ ივიწყებს. სამი თვის წინ მან თანასოფლელებს სკოლის ასაშენებლად ფული გადასცა. ფული ბლომად აქვს ვამბას; აკი წლეულს აპრილში ამერიკელი კერლტონ ვესტი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც შეინარჩუნა.

*

ვოლგა-დონის სანაოსნოს ინჟინერმა, 52 წლის როსტოველმა გრიგორი პოპოვმა ვინდსერფინგის დაფა გამოჩარხა, აიღო უცხოეთის პასპორტი, გავიდა შვებულებაში, დადგა თავის დაფაზე და საბერძნეთისკენ გასცურა. რუსეთიდან 18 ივლისს გასულმა საბერძნეთის მიწას 15 აგვისტოს დაადგა ფეხი. მისი მარშრუტი ორიათას კილომეტრიანი გამოდგა. გზად გადასერა აზოვის, შავი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვები. ამ ხნის განმავლობაში დაფაზე შემდგარი კაცი ზურგჩანთაში მომარაგებული კონსერვებით, თხილითა და ქიშმიშით იკვებებოდა. წყალს მხოლოდ ნაპირზე სვამდა, ხანდახან კი მეგობრებისგან ნასესხები ასი დოლარით მენიუს ამა თუ იმ პროდუქტს წაამატებდა. „როცა ტალღები საშუალებას მაძლევდნენ, დღე-ღამეში თხუთმეტ საათს შეუსვენებლივ მივცურავდიო", თქვა პოპოვმა, რომელიც ადამიანის ამოუწურავ შესაძლებლობებში დარწმუნებულა. „მთავარი სირთულე ის იყო, რომ წვერს ვერსად ვიპარსავდი და საბერძნეთში გვარიანად გაბურძგნული ჩავედიო" — დაიჩივლა როსტოველმა ინჟინერმა.

*

რუსეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მთავარმა მწვრთნელმა არსენ ფაძაევმა დაასახელა ის ფალავნები, რომლებიც ტორონტოში მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვლენ. ესენი არიან: ანდრეი მატიუნოვი (48 კგ), სერგეი ზამბალოვი (52), ბაგაუტდინ უმახანოვი (57), ჰაჯი რაშიდოვი (62), ვადიმ ბოგიევი (68), ტყუპი ძმები საღიდ (74) და რასულ (82) კატინოვასოვები; ორი ოლიმპიური ჩემპიონი: მახარბეკ ხადარცევი (90) და საქართველოს გუნდის ყოფილი სიამაყე ლერი ხაბელოვი (100); აგრეთვე ანდრეი შუმილინი (130). ამათში ერთი მოჭიდავეც არ ურევია მათი რიცხვიდან, ვინც წლეულს მაისში სტამბოლში ევროპის პირველობაზე რუსეთის ღირსებას იცავდა, რადგან ისინი ივლისში ქვეყნის პირველობაზე პირშიჩალაგამოვლებული დარჩნენ. რუსი მიმომხილველები ხაზს უსვამენ, რომ ამჯერად მათ ნაკრებში ყველა რუსეთელია.

*

გაგანია სეზონში გუნდის წარუმატებლობის გამო თანამდებობიდან გადადგომას აპირებს სიდნეის პროფესიული რაგბის ლიგის კლუბ „ბალმეინელი ვეფხვების" მწვრთნელი ალან ჯოუნზი. იგი იმითაა ცნობილი, რომ 1984-87 წლებში „ვოლაბების" მწვრთნელი იყო და შედეგიც მშვენიერი ჰქონდა: მისი ხელმძღვანელობით გამართული 30 ტესტიდან ავსტრალიელებმა 21 მოიგეს. მაგრამ მწვრთნელს ვერ ეპატია 1987 წლის მსოფლიო თასიდან ნახევარფინალში გავარდნა და ჩემპიონატის შემდეგ ახალზელანდიელებთან და არგენტინელებთან წაგება. ჯოუნზი გადააყენეს, რის შემდეგაც მან, პირველმა სამოყვარულო რაგბის გამოჩენილ მწვრთნელთაგან, გამოიცვალა რაგბის სახეობა და პროფესიულ, ცამეტკაციან რაგბში გადაბარგდა.

აქეთური, იქითური


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)